საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფაფიოლებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 18 დეკემბერი. 2023 წ. №142 (9674) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

დრო, დრო აღნიშნე!

უშიშნი, ვითარცა უხორცო!

„საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით“!

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭებით საერთაშორისო მასშტაბით დადასტურდა, რომ „ქართული ოცნების“ და მისი დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის, პარტიის დღევანდელი თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის, გენერალური მდივნის კახა კალაძის, პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის და რაც მთავარია, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, „უშიში ვითარცა უხორცო“ მთავრობის თავმჯდომარის ირაკლი ღარიბაშვილის პრინციპულობამ, თანმიმდევრულობამ, გულწრფელობამ, დიპლომატიურმა გამჭრიახობამ ბოლომდე ნიღაბი ჩამოხსნა არა მხოლოდ ჩვენს გასაცოდავებულ, გაფარჩაკებულ ოპოზიციას, არამედ ბარეორ ევროპელ მაღალჩინოსანსაც!

ევროკავშირის ოცდაშვიდივე წევრი ქვეყნის ერთსულოვანი მხარდაჭერა უფრო მეტია, ვიდრე კანდიდატობა, ეს იმის დასტურია, რომ ჩვენი მხამიანი, ქართველი ხალხის მტერი ოპოზიცია, ვიდრე ოცნება ხელისუფლებაშია, ციხის შიგნიდან გატეხვას ვეღარ შეძლებს.

კარგად გაიაზრეთ ეს, საქართველოს სისხლის მწოველო მანქურთებო და სრული სვლით განაგრძეთ გზა... თვითმკვლელობისკენ!!!

ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს!..

მოვიდა გამარჯვება — დიდი, ისტორიული, დამსახურებული! 4

„კუდიანების“ შეკრებაზე ჯადოქარი საწნახლით მიცურავდა... 8

„ცხელი ძაღლის“ შემდეგ კინოში ცენზურა არ ყოფილა! 7

14.XII.2024: ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ ᲔᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 14 დეკემბერს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ყველას მოგესალმებით, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! დიდი სიამაყით და დიდი სიხარულით გილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას – საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. გილოცავთ ყველას! მე მინდა, თითოეულ მოქალაქეს მოგილოცოთ დღევანდელი ისტორიული დღე. ეს ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის გამარჯვება. ეს ნამდვილად არის ღირსეულად მოპოვებული, დამსახურებული სტატუსი, რომელიც ჩვენ, ხელისუფლებამ, ჩვენს ხალხთან ერთად და ჩვენი ხალხისთვის მოიპოვა. ჩვენ ვიბრძოლეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ.

მე მინდა, ჩემი გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ჩვენი ევროპელი მეგობრების მიმართ. პირველ რიგში, მინდა დავიწყო ჩემი მადლობით ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენის მიმართ. მე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ შარლ მიშელს, რომელმაც ახლა

დამირეკა და პირადად მომილოცა დღევანდელი დღე და ეს ისტორიული გამარჯვება. მე ასევე მაქვს პატივი, გადმოგცეთ მისი მილოცვა ქართველი ხალხისადმი. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ ვარჰეის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩართული იყო და იყო ერთ-ერთი მთავარი გულშემატკივარი ქალბატონ ურსულასთან და ბატონ შარლ მიშელთან ერთად და რაც მთავარია – ევროკავშირის 27-ვე ქვეყნის თითოეულ ლიდერს მე მინდა მადლობა გადავუხადო ერთსულოვნებისთვის და ერთხმად გამოხატული ძლიერი მხარდაჭერისა და ნდობისთვის“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა გამარჯვება მიულოცა გუნდის თითოეულ წევრსა და პარტიის დამფუძნებელს – ბიძინა ივანიშვილს.

„მინდა განსაკუთრებულად მივულოცო დღევანდელი ისტორიული გამარჯვება ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, მთავრობის თითოეულ წევრს, ათასობით საჯარო მოხელეს, ჩვენს პარლამენტს, ჩვენს პარტიას, მმართველ გუნდს, თითოეულ წევრს, ვინც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ამ დიდი ისტორიული გამარჯვების მიღწევაში. მინდა მივულოცო ყველას. მინდა მივულოცო ეს დღე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს – ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის მმართველობამაც მოიტანა სწორედ დღევანდელი დღე და ეს გამარჯვება! 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენმა გუნდმა, ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა, მიაღწია მაქსიმუმს და დღევანდელი დღე შეიძლება ითქვას არის ერთგვარი დაგვირგვინება ჩვენი წარმატებული მმართველობისა.

მე მხვდა წილად პატივი, რომ ჩვენი ქვეყნის სახელითა და ჩვენი გუნდის სახელით ხელი მომეწერა ჯერ ასოცირების შეთანხმებაზე, შემდეგ ჩემი მმართველობის პირველი პრემიერობის დროს ჩვენ წარმატებით დავასრულეთ უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, შარშან უკვე მე მქონდა პატივი, რომ უკვე ოფიციალურად ჩვენი ქვეყნის სახელით შემეტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. შარშან მივიღეთ ევროპული პერსპექტივა, რითიც დამტკიცდა, რომ ჩვენი ქვეყანა გახდება ევროპული ოჯახის წევრი და დღეს უკვე 14 დეკემბერი ჩაიწერება როგორც ისტორიული თარიღი. საქართველო დღეიდან არის ევროპული სახელმწიფო, ევროპული ქვეყანა. საქართველო არის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ასე რომ, ეს გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ძვირფასო მოქალაქენო, ეს არის ჩვენი შრომის, ჩვენი ბრძოლის შედეგი და კიდევ ერთხელ მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ისტორიული გამარჯვების საქმეში თითოეული აგური დადო და ეს გამარჯვება მოუტანა ჩვენს ხალხს...

ᲩᲕᲔᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲔᲗ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗ!

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲔᲕᲠᲘ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲔᲗ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗ! ჩვენ, ხელისუფლებამ და ხალხმა, დამსახურებულად მოვიპოვეთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავისუფლების მოედანზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც მთავრობის მეთაური ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.

„მოგესალმებით, ჩემო საყვარელო ხალხო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩემო ძმებო და დებო! პირველ რიგში, მე მინდა, მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. გილოცავთ კანდიდატის სტატუსის მონიჭებას! ჩემთვის დიდი პატივია თქვენ წინაშე სიტყვით გამოსვლა. მე გილოცავთ ამ მართლაც ისტორიულ მოვლენას, ისტორიულ გადაწყვეტილებას და ისტორიულ გამარჯვებას, ჩემო მეგობრებო! ეს ისტორიული გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ჩვენს დაუმარცხებელ, გაუტეხელ, ამაყ და თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს! დიახ, ჩემო მეგობრებო, ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი ვიშრომეთ და ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ. ჩვენ, ხელისუფლებამ და ხალხმა, დამსახურებულად მოვიპოვეთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. ჩვენ დავიმსახურეთ ეს გამარჯვება. ჩვენ ვიშრომეთ და ჩვენ ვიბრძოლეთ ქართველი ხალხის სახელით, თქვენი სახელით, ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის და ჩვენ ერთად მოვიპოვეთ ეს გამარჯვება! დიახ, ჩემო მეგობრებო, ჩვენ არ დავდექით ცალ ფეხზე და არ დავდექით მუხლის ჩოქებზე, არამედ ჩვენ დავდექით მტკიცედ, ღირსეულად და მოვიპოვეთ ეს გამარჯვება. მე მინდა გითხრათ, რომ ეს გზა, რა თქმა უნდა, არ იყო იოლი. ჩვენ ძალიან ბევრი განსაცდელი გავიარეთ, ძალიან ბევრი სირთულე შეგვხვდა ამ გზაზე, მაგრამ ჩვენ ღირსეულად და მტკიცედ გავიარეთ ეს გზა და მოვედით დღევანდლამდე. ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ, ჩვენ ერთად დავამარცხეთ ჩვენი ქვეყნის შიდა თუ გარე მტრები, ის მოწინააღმდეგე ძალები, რომლებიც ებრძოდნენ ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ჩვენ ასევე თავიდან ავიცილეთ მთავარი განსაცდელი – ომი და უბედურება, შევინარჩუნეთ მშვიდობა, დავიცავით ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა, გავაძლიერეთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დღეიდან საქართველო ევროპული ქვეყანა გახდა.

„14 დეკემბერი და დღევანდელი დღე შევა საქართველოს ისტორიაში, როგორც ამაყი და ღირსეული ქართველი ერის დამსახურებული გამარჯვების ზეიმის დღე. დღეიდან საქართველო ევროპული ქვეყანა გახდა.

კიდევ ერთხელ, მე მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს ევროპელ მეგობრებს; ჩვენს მხარდამჭერებს; ჩვენს ამერიკელ მეგობრებსა და გულშემატკივრებს; ევროკავშირის ელჩს, რომელიც აქ გვესწრება; ევროკავშირის ელჩებს; ყველას, ვინც მხარი დაუჭირა ამ სამართლიან და ისტორიულ გადაწყვეტილებას. გუშინ მე პირადად გადავეცი მადლობა ჩვენს ევროპელ მეგობრებს, ჩემს კოლეგებს, ლიდერებს და მივიღე მათი მოლოცვები. კიდევ ერთხელ მადლობა ყველას და მადლობა თქვენ, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო ხალხო, ჩემო მეგობრებო, დებო და ძმებო. მადლობა მინდა ვუთხრა კიდევ ერთხელ ჩვენს ერთიან, ძლიერ გუნდს. ყველა საჯარო მოხელეს მინდა მადლობა ვუთხრა, ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ წარმატების და ამ გამარჯვების მოპოვებაში.

ახლა ჩვენ წინ დიდი გამარჯვება გველოდება, ჩვენ უნდა მოვემზადოთ კიდევ უფრო დიდი გამარჯვებისთვის. უფლის ნებით, ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და ავიხდინოთ თითოეული ქართველის და ამ მიწაზე მცხოვრები თითოეული მოქალაქის მთავარი ოცნება, რომ ვიცხოვროთ ერთიან, ძლიერ ევროპულ სახელმწიფოში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, ჩვენი საქართველოს მფარველი, ჩვენი ხალხის მფარველი. გაუმარჯოს ერთიან საქართველოს. დიდი მადლობა!“, – განაცხადა პრემიერმა.

თავისუფლების მოედანზე გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს **პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ.** სცენაზე მიიწვიეს ასევე **ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები.**

ერი და ბერი



ილია მეორე: ამ გზის გაკაფვაში საქართველოს ყველა ხელისუფლებას წვლილი აქვს შეტანილი

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის განცხადებას ავრცელებს.

„დღეს გამორჩეული დღეა, რადგან ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებით გვეხსნება ახალი შესაძლებლობები ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სტაბილურობისა და საერთაშორისო ურთიერთობებში სტატუსის ამაღლებისა; ასევე, კულტურული, მეცნიერული, ტექნიკური და ეკონომიკური წინსვლისა.

ვიმედოვნებთ, რომ ეს კავშირი ურთიერთგამამდიდრებელი იქნება და ჩვენი ქვეყნის ქრისტიანული ტრადიციების და სულიერი ფასეულობების განმტკიცებასაც შეუწყობს ხელს. კანდიდატის სტატუსის მიღებაში ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების დიდი ძალისხმევა, ჩვენი ხალხის მონდომება და მრავალი ადამიანის შრომაა ჩადებული; ამ გზის გაკაფვაში დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს ყველა ხელისუფლებას თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

გილოცავთ და გლოცავთ!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ინებოს ღმერთმა საქართველოს ერთობა, მშვიდობა და წარმატებული მომავალი“!..

დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა და თავისუფლების მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიულოცა.

კახა კალაძე: ტრადიციებით, ღირსებით ევროპაში!

„ჩემო ძვირფასებო, ჩემო დებო და ძმებო, საქართველოს, ქართველ ხალხს, თითოეულ თქვენგანს გილოცავთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს. დღეს, ჭეშმარიტად ევროპულ ქალაქში – თბილისში ვზეიმობთ უდიდეს გამარჯვებას, რომელსაც საქართველომ ევროინტეგრაციის გზაზე მიაღწია. ამ ქალაქში ჩვენი საერთო სამშობლოს, საქართველოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის, ისტორიულად, ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ და იბრძოდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები. თავისუფლება, კეთილდღეობა, თანასწორობა და ტოლერანტობა არის ის ღირებულებები, რომლებსაც ევროპა გამოხატავს და რომლებიც ოდითგანვე თბილისური და ქართული კულტურის განუყოფელი შტრიხები იყო. მჯერა, რომ როგორც ევროპას შეუძლია გაამდიდროს და გააძლიეროს საქართველო, ისე საქართველოს შეუძლია გაამდიდროს და გააძლიეროს ევროპა. „ტრადიციებით ევროპაში“ და „ღირსებით ევროპაში“ არის ის სულისკვეთება, რომლითაც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა განვაგრძოთ სვლა საერთო ევროპული ოჯახისკენ“, – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

მანვე მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს და იმ ადამიანებს, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სტატუსის მოპოვებაში.

„მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს, რომელიც ჩვენი დღევანდელი გამარჯვების მთავარი შემოქმედია. ეს გამარჯვება მოიტანა ქართული საზოგადოების ყველა თაობამ. კანდიდატის სტატუსს განსაკუთრებულად ვულოცავ ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენს შვილებს, მომავალ თაობებს. ახალგაზრდებს, რომლებმაც საქართველოს ევროინტეგრაციით ყველაზე დიდი სარგებელი უნდა მიიღონ. საქართველოს დღევანდელი გამარჯვება ხელოვნურ საზღვარს მიღმა მცხოვრები აფხაზებისა და ოსების კუთვნილებაცაა. მჯერა, რომ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას ვიზეიმებთ ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან ერთად, ერთიან, ძლიერ, ეკონომიკურად განვითარებულ საქართველოში.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მოპოვებაში თავისი წვლილი შეიტანა. მადლობას ვუხდი ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც 2012 წელს მოიტანა დემოკრატიული გარდატეხა, რომლის გარეშეც ეს წარმატება, რა თქმა უნდა, ვერ შედგებოდა. მადლობა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ შალვა პაპუაშვილს, მადლობა ჩვენი პარტიის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც მაქსიმუმს აკეთებდნენ კანდიდატის სტატუსის მისაღებად. მადლობა ევროკავშირის ლიდერებს, ევროკავშირის ელჩს საქართველოში, ევროპელ დიპლომატებს საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდაჭერისთვის. მადლობა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკის შეერთებულ შტატებს.

გისურვებთ, მალე გვეზეიმოს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება! კიდევ ერთხელ ვულოცავ კანდიდატის სტატუსს სრულიად საქართველოს! ყველა იმ ადამიანს, ვისაც უხარია ჩვენი ქვეყნის განვითარება, წინსვლა და აღმშენებლობა“...

პლატფორმა „მონა.ჯის“ აბსურდული იდეაფიქსი



როგორც კი აშკარად გამოიკვეთა, რომ საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მიიღებს. რეაქციული ოპოზიცია და ენჯეოები დაფაცურდნენ. ზოგმა მიმართვებიააფრიალეს ევროპისკენ, ზოგნი ისე დაიბნენ, რომ გოდვას მოყვნენ. ასე შეიქმნა სოციალურ ქსელში ოპოზიციონერ ნაც-კეკელა ხოშტარიასა და ჰაშიშ-გირჩი ჯაფარიძის სულელური პლატფორმა „მონა. ჯი“.

სრულიად უგუნური და აკვიატებულია მათი მიზანი, რომ **„რუსულ სისტემას სჭირდება სისტემური დაპირისპირება და მხილების მექანიზმის შექმნა და არა ერთჯერადად ყვირილი ფაქტებზე. სწორედ „მონა.ჯი“ არის ის საიტი, რომელიც მხილების მექანიზმია, სადაც მხილებული იქნება ყველა ის სუს-ის თანამშრომელი, პროკურორი, მოსამართლე, მოძალადე სსიპ-ის თანამშრომელი, რომელიც პარტიას ემსახურება და არა სამართალს, ყველა ასეთი ადამიანი იქნება მხილებული, რადგან მათზე დგას რუსული სისტემა“** – განაცხადა **ხოშტარიამ.**

ჰაშიშ-ზურა ჯაფარიძე კვერს უკრავს თანამეინახეს და მთელი ხმით აცხადებს რომ **„ყველას სახელს და გვარს დავუტოვებთ შთამომავლობას და შევინახავთ უსასრულოდ. მომავალ თაობას ეცოდინება, ვინ უშლიდა ხელს საქართველოს ევროინტეგრაციას. უკვე გვაქვს კომუნიკაცია დიპლომატიურ კორპუსებთან. ყველა ის, ვინც გადაწყვეტს, რომ გაიქცეს ამ ქვეყნიდან და ჩვენ დაგვტოვონ სიღარიბეში, რუსულ სივრცეში და უბედურებაში და თვითონ თავი დააღწიონ და გაიქცნენ ნორმალურ დასავლეთ ქვეყანაში, ყველანაირად ვეცდებით, რომ ამას ხელი შევუშალოთ“.**

ამ „ორ ქიმიურ ნაერთს“ ბრიყვს და ტეტიას ბევრი უფიქრიათ და მისულან ახალ მიგნებამდე, რომ „რუსული სისტემის დასანგრევად სისტემურ დაპირისპირებას შესძლებენ“! თურმე ასე ეშველება ჩვენს ქვეყანას.

სოციალურ ქსელში ბევრი საიტი ატვირთულა რომლებიც ერთი შეხედვით ქვეყნისთვის სასარგებლო და კეთილი ჟესტის გახმოვანებული ჩანდა, სინამდვილეში მათი უმრავლესობა სისულელის ტირაჟირება ყოფილა, როგორც ზემოთ ხსენებული პლატფორმა. „მონა.ჯი“, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან, სამართლიანობასა და ჯანსაღ იდეალებთან. ეს საიტი მხოლოდ მიამიტი ადამიანებისთვისაა გამიზნული. საიდანაც იფრქვევა შეურაცხოფა, ეჭვი და უნდობლობა ადამიანებისადმი. ეს პირდაპირ გახლავთ მოქალაქეთა უფლებების შელახვა, პიროვნების ღირსებისადმი ლაფის ცხება.

ბევრს არ ვიცნობ სიაში მოხვედრილთაგან, მაგრამ აფსურდის თეატრის მსგავსია, ხელოვნების სასახლის დირექტორის, გიორგი კალანდიას შეყვანა სიაში, რაღაც გამოგონილი და ყალბი ბრალდებით. თითქოს ზუგდიდის (დადიანთა) სახელმწიფო მუზეუმის საქმიანობაში ერევა და ამიტომ არის მონა. რაც ბატონ გიორგის მიმართ აშკარა ცილისწამება და ღირსების უხეშად დარღვევა გახლავთ.

ათასობით ადამიანი დაადასტურებს, რომ სტუდენტობიდან მოყოლებული გიორგი კალანდია საქართველოს თავგამოდებული პატრიოტი, მისი მოამაგე და მსახურია რამდენი უნიკალური ფაქტობრივი მასალა მოიპოვა საზღვარგარეთ და ჩამოტანა საქართველოში. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ეწევა მეტად სასარგებლო საქმიანობას.

ასეულობით ფაქტიდან მარტო ის რად ღირს, მისი წინადადებით დადიანების სასახლეში აღსდგა შესანიშნავი ღონისძიება „სამეჯლისო ცეკვების“ ტრადიცია.

იხ. 5 გვ.

ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს!..

მოვიდა გამარჯვება - დიდი, ისტორიული, დამსახურებული!

გილოცავთ, გილოცავთ ყველას – დიდსა და პატარას, ერსა და ბერს, რამეთუ ეს გამარჯვება ყველასია, სრულიად საქართველოსი!

მოვიდა გამარჯვება და ახლებურად გაანათა აწ უკვე ევროპის გზაზე შემდგარი საქართველო. ზეიმობს ხალხი, რომელმაც ნამდვილად მოიტანა ნანატრი გამარჯვება. მაგრამ დახეთ ეშმაკს, ეს ხალხი თურმე ერთი ხალხი არ არის, ორი ხალხია.

პირველი: უცებ ვერ გაიგებ, რა ხალხია, სალომე სამადაშვილივით ავთვალა და გიორგი ვაშაძესავით ავენა, მამუკა ხაზარაძესავით სიკეთისგან შორს მდგომი. ამ ხალხმა ბევრი იძრომიალა ევროპის შუშაბანდებში, საქართველო ჯერ მზად არ არისო, ხოლო თუ სრული სიმართლე გინდათ, საერთოდ ღირსი არ არის ევროპის სუფრაზე პურის ჭამისო. დაძვრებოდნენ პოტომაკის ნაპირებზეც, საქართველო დღეს პუტინის ქვეყანაა, ხელისუფლება რუსულია, ღამე ლოგინში ცოლებს სულ პუშკინს უკითხავენო, მთელი ქვეყანა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე სულ იმ აგრესორებს მიჰყიდესო.

ის კი არა, ევროპის საბჭოს მთავარი სხდომის წინა დღესაც კი ლელოელი მამუკა ხაზარაძე და მისი სანჩო პანსა გრიგოლ (სინამდვილეში გრიშა) გეგელია საქართველოს მდგომარეობას „უხსნიდნენ“ (აქაოდა საქმის წინ წაწევის მიზნითო) იღბლიანად გამოჭერილ, სავარძლებში ნახევრად მძინარე ევროპელ გულშემატკივრებს. გეგელიას ახსნილი, მოხსნილი და დახსნილი არ გაიშვა, მაგრამ მაინც!

მეორე: ხალხი მუხლჩაუხრელად შრომობდა, სათავკაცო საქმეები თავის ხელისუფლებას მიანდო და არათუ საქმის კეთება არ ითაკილა, ნიშა და ნიკორასავით უღელში ერთგულად შებმულმა, აღზევანიდან მარილიც მოიტანა და გუთანიც ოფლმდინარემ ბოლომდე გაიტანა. ოღონდ ეს კია, ამ ვაინაჩრობაში ერთმანეთს ბღვერა და რქენა დაუწყეს...

დღეს ორივე ხალხი ზეიმობს სტატუსის მიღებას, ყოველ შემთხვევაში, გვინდა რომ ასე იყოს. საქართველომ ოდინდელ საწადელს მიაღწია და ერთმანეთი კვლავ საცემად აღარ გვემეტება.

აკი თქვა ჩვენმა თავზეხელაღებულმა და ტყეში გაჭრილმა პრეზიდენტმა, პრემიერმა ზეიმი დააანონსა და მასში ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა, მათ შორის-მეცო, თუ ტრიბუნამდე არ მიმიშვებენ, ჩემს საყვარელ ხალხში ვიდგები და ისე ვიზეიმებო.

ბარემ აქვე ვიტყვი, ქალბატონმა შეასრულა დანაპირები, მივიდა თავისუფლების მოედანზე, ოღონდ ყურადღება არავინ მიაქცია, არც სიტყვა ათქმევინეს და არც „მადლობა“ უთხრეს „ერის წინამძღოლობისთვის საევროპო ბრძოლაში“.

თუმცა, არც იმის უთქმელობა შემიძლია, რომ სჯობდა, რაკიღა ის ზეიმი სრულიად სახალხო იყო (და ასეც უნდა ყოფილიყო), სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ასე თუ ისე, ოფიციალურად ჯერაც საქართველოს პრეზიდენტია, მიეფურთხებინათ მისი ცოდვებისთვის და თუნდაც მხოლოდ ჯენტლმენობის სადემონსტრაციოდ ტრიბუნაზე მიეწვიათ!

ისე კი, თავისუფლების მოედანზე გამართული ზეიმი ნამდვილად სახალხო, ნამდვილად სასიხარულო და სამახსოვრო იყო!

* * *

ზეიმი დამთავრდა, სადაგი დღეები დაიწყო: შფოთიანი და მძიმე, წინ ხომ არჩევნების წელიწადი გველის. „მძიმე“ იქნებ სრულად ვერც ასახავს სადღეისოდ უძლიერესი და უდიდესი ოპოზიციური პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ ნგრევის თანამედროვე პროცესს.

პარტია მწვავე შიდა ბრძოლების შედეგად დატოვეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, ზუგდიდის, ხობის, კასპის, სიღნაღის, ახმეტის, თელავის... ორგანიზაციათა წევრებმა, მათ შორის პიტალო ვეტერანმა ნუგზარ წიკლაურმა. როგორც იტყვიან, პარტიის თავმჯდომარეს ლევან ხაბეიშვილს თავზე დაახურეს! მართალია ეს უგვანი კაცი, რომელიც რატომღაც დაჯერებულია, რომ იღბლიანად ჩასმული კბილების წამდაუწუმ კრეჭვით შეაჩერებს პარტიიდან წევრთა გადინების სულ უფრო და უფრო მზარდ, შეუქცევად პროცესს, ძალიან ცდება. ცდება ისევე, როგორც ცდება საერთოდ პარტიის ლიდერობის საქმეში (ან თავის დროზე, როცა ნიკა მელიას ინტრიგა მოუწყო და დაამხო, რის გამოისობითაც ჩაიდო ცარიელ თავში, რომ მხოლოდ დავით კეზერაშვილის ნაპარავი ფულით, ვანუა მერაბიშვილის „გამოცდილებით“, პეტრე ცისკარიშვილისა და დავით კირკიტაძის ნაგერალა ტვინებით შეძლებდა პარტიის ხელმძღვანელობას).

ხაბეს კუბოს ბოლო ლურსმანი ნიკა მელიამ დააჭედა, როცა რვა თვის ყოყმანის შემდეგ, როგორც იქნა გადაწყვიტა და ნაცმოძრაობა დატოვა დიადი მოწოდებით: „მივდივარ წინ, მომავალში! წარსულს ვტოვებ წარსულში!“ იქვე დააანონსა ახალი პარტიის დაფუძნება. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს იქნება ყველაზე მართალი პოლიტიკური პარტია, რომელზეც დაშენდება კვალიფიკაციაც, ცოდნაც, ხედვაცო. ჩვენი მთავარი იარაღი იქნება ღირსება, მორალი, სიტყვის ფასიო. იქვე ისიც გაჰკრა, ნაცმოძრაობაში ვერა და ვერ გაიმარჯვა ამ მნიშვნელოვანმა პრინციპებმაო.

მელია მეტისმეტად ბევრს ხომ არ იღებს თავის თავზე! ისე არ გამოუვიდეს, როგორც ანდაზაშია: „მელიას უთქვამს, ზღვას მუგუზალს შევუჩიჩხინებ და თუ ვერ დავაშრობ, ხომ დავაშიხნებო.“

ძმაო მელია, მარტო დაშიხნება რომ საქმეს შველოდეს, ჰეეე!..

ის კი უტყუარია, რომ მელიას წამოსვლამ, თანაც ამსიგრძე შლეიფით, ნაცმოძრაობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეარყია.

* * *

ამასობაში საზოგადოებრივი კვლევის ინსტიტუტის ენდიაის ახალი კვლევის შედეგები გამოქვეყნდა. შეკითხვაზე, რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოსო, პასუხები ასეთი იყო: არცერთი – 47%, „ქართული ოცნება“ – 19%, ნაცმოძრაობა – 4%, სხვა პარტიები – 12%...

იმის მიუხედავად, ვენდობით თუ არა ენდიაის კვლევებს, ერთი რამ ცხადია, ეს კვლევა ნათლად გვიჩვენებს, რომ პოლიტიკოსებსა და ამომრჩევლებს შორის უნდობლობის უფსკრული იზრდება და რომ აუცილებელია, საკუთარი საქმიანობა პარტიებმა მოსახლეობის მისწრაფებებსა და საჭიროებებს დაუკავშირონ.

ენდიაის მოულოდნელმა ციფრებმა ზოგიერთებს სიიოლის შთაბეჭდილება შეუქმნა. იქნებ ამან დაარწმუნა გია ხუხაშვილი, რომ „ძალაუფლება ქუჩაში გდია, ოპოზიცია უნდა დაიხაროს და აიღოს“. (მგონი ეს ფრთიანი გამოთქმა ვიღაცამ უკვე მიუსადაგა არსებულ მდგომარეობას გასული საუკუნის დასაწყისში, ოღონდ არ აუხდა.) ხუხაშვილს ეიმედება ნიკა მელიას ინტერაქციის უნარი, რაც ნაკლებად გააჩნია პოლიტიკურ ელიტას, პრეზიდენტმა კი შეიძლება სერიოზული როლი შეასრულოს ამ ბრძოლაშიო. ასეთი საეჭვო პროგნოზის შემდეგ, ორპოლუსიანი სიმბიოზი, რომელიც ერთმანეთს კვებავდა და აძლიერებდა, ფაქტობრივად დაიშალა, „მგელი მოღის“ პრინციპით არჩევნების ჩატარება და ამით ამომრჩევლის მიმხრობა ხელისუფლებას გაუჭირდებაო.

იმის გასიგრძეგანება კი დაავიწყდა ხუხაშვილს, რომ ძირს დაგდებული ხელისუფლების ასაღებად ვინც დაიხრება (მაგალითად 4%), იმ ხელს იღლიაში მოაჭამენ (19% ან სხვები).

რა მაგის პასუხია და აშკარად ჩანს, კუდ და ფრთებმოკვეცილი პრეზიდენტი გულმოდგინედ ემზადება „აბაროტისთვის“.

გახსოვთ ლუარსაბისა და დარეჯანის „კამათი“ ილიას „კაცია – ადამიანიდან?! “?

„– დახე, შენ არა თქვი თართიო?“

– მე ეგ არ მითქვამს, ეგ შენა თქვი, – იცრუა ლუარსაბმა, – მე ორაგული ვთქვი.

– დახე, დახე, თქვენი ჭირიმეთ, ეს რა მოიგონა! – წამოიძახა ახლა კი სწორედ გულზედ მოსულმა დარეჯანმა.

– იმდენი იყვირე, რამდენიც გინდოდეს! – თქმა ამისა და ლუარსაბის გარეთ გასვლა ერთი იყო.“

ახლა ამ გამაოგნებელი მტკიცებულების თანამედროვე ვარიანტი ვნახოთ, სადაც მთავარი „მამტკიცებელი“ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილია:

„მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე უარი არასოდეს განმიცხადებია“ ეს ქალბატონმა სალომემ რადიო „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა ამ დღეებში და ერი და ბერი გადარია ამ ურცხვი, ლუარსაბისეული სიცრუით.

ავოეეე!..

გავიხსენოთ 2021 წლის 3 ნოემბერს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე სალომე ზურაბიშვილმა ყელმოღერებით რომ დაიფიცა: „ჩემი პოზიცია ყოფილი პრეზიდენტის შეწყალებაზე მყარი და უცვლელია – არა და არასოდეს! ყოფილი პრეზიდენტი არც პოლიტიკური პატიმრის და არც უდანაშაულობის მსხვერპლის არცერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს“.

ესეც შენი პრეზიდენტული სიმართლე!

აშკარაა ეს „გულმავიწყობა“ ხვალინდელზეა გათვლილი.

მაგრამ ასეთი სიმსუბუქით როდი ეკიდება პრეზიდენტი თავის პოლიტიკურ მომავალს. უკვე გამოუონა ვარიანტმა, რომ მან შეიძლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ზოგიერთი ქალბატონ სალომეს უკვე ხედავს ახალი პარტიის სათავეში, არ გამორიცხავენ გაერთიანებულ პოლიტიკურ ჯგუფს სალომე ზურაბიშვილის, ნიკა გვარამიას, გიორგი გახარიას, „ლელოს“, ნინო ლომჯარიას, ნიკა მელიას, ხატია დეკანოიძის შემადგენლობით...

SIC! ოპოზიციამ გაიხარა, მას პირდაპირ ხელებში ჩაუვარდა არჩევნებში გამარჯვების უნივერსალური შესაძლებლობა: აღმოჩნდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო პერიოდში სტრატეგიულ მრჩევლად მოიწვია ისრაელელი მოშე კლუგჰაფტი, რომელიც 2018 წელს ზურაბიშვილის საპრეზიდენტო კამპანიის მენეჯერი და სტრატეგიული მრჩეველი იყო (სწორედ მისი იდეა გახლდათ საარჩევნო ბანერებზე ზურაბიშვილის ნაცვლად ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი კობახიძის პორტრეტების განთავსება).

როგორც ჩანს, მოშეს მაშინდელმა წარმატებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ახლაც მას მიანდეს ეს საქმე. ამან სიხარულით გადარია ალეკო ელისაშვილი. მანამდე ეს კაცი ასეთი ამჩატებული დ ახუნტრუცებული არასოდეს მინახავს. ლამის ხტოდა: ახლა კი ვიცით, როგორ გავიმარჯვოთო. მარტო მე კი არ ვიცი, ჩვენ ვიცითო, ჩვენ გავიმარჯვებთო. ნეტა, მოშეს რა იაღლიში იცის „მოქალაქემ“?

გამარჯვების ასეთივე იმედი აქვთ შალვა ნათელაშვილს, „ლელოს“, ჭიჭე ვაშაძეს, „გირჩს“, ხაბეს...

იმედი ყველაზე გვიან კვდება...
ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს...

ალეკო ასლანიშვილი

რამაზ საყვარელიძე:

დიდი შანსია, ოპოზიცია მატარებლის გარეთ აღმოჩნდეს!

ოპოზიციამ დაინახა და კიდევ უფრო კარგად დაინახავს, რომ ამ მატარებელს თუ ჩამორჩება, როგორც მიშას უყვარდა თქმა, მატარებელს თუ ჩამორჩი, ვერ შეახტები-თო, მერე ძალიან გათიშული აღმოჩნდე-ბა, – ასე უპასუხა პოლიტოლოგმა, რამაზ საყვარელიძემ საქართველოს პირველი არხის გადაცემის „აქტუალური შაბათი – მაკა ცინ-ცაძესთან ერთად“ წამყვანის შეკითხვას, რამ-დენად რეალისტურია, რომ რეკომენდაცი-ების შესასრულებლად ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ითანამშრომლონ, რაც ევროკავ-შირის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა.

„ჩვენი ოპოზიცია თან ევროპულ მხა-რეში ეძებს პარტნიორებს და ამ დროს, ევროპულ პროცესებში არ იღებს მონაწი-ლეობას. ამიტომ, რა თქმა უნდა, დიდი შან-სია, ისინი მატარებლის გარეთ აღმოჩდ-ნენ. ამიტომ, მგონი, ისინი ამ პროცესში ჩაერთვებიან“, – განაცხადა საყვარელიძემ.

პოლიტოლოგმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ევროპელ ლიდერთა რიტორიკის შეცვ-ლას ჩინეთიდან ტვირთების ევროპაში ტრანზიტი განსაზღვრავდა.

„ევროკავშირის ერთ-ერთი პრინციპია, რომ ის თავის საზღვრებზე მყოფ ქვეყა-ნაზე ფართოვდება და არ გადაახტება და-ვუშვათ, სხვა ქვეყნებს, საქართველოს კი ევროკავშირთან საზღვარი არ აქვს. ამ დროს, შოლცი იძახის, თბილისამდე უნ-და მივიდეს ევროკავშირიო და რატომ იძახის? ერთი კვირით ადრე, მაკრონმა თქვა, ეს საქართველო სად არის, კაცმა არ იცისო. ეს გეოგრაფიული პრინციპი მაკრონმა მო-ტივად თქვა და არც მოგვცეს მაშინ სტა-ტუსი. მერე, ცოტა ხანში, შოლცს უცბად მო-უნდა თბილისში შემოსვლა. ამ პერიოდ-ში, როცა მათ რიტორიკა შეცვალეს, გა-მოიკვეთა ჩინეთიდან სატრანზიტო გზის სა-ქართველოზე გასვლის პერსპექტივა. ვთვლი, რომ აი, ესაა ის რეალპოლიტი-კა, რომელმაც განაპირობა ჯერ რიტორიკის შეცვლა და მერე, საქართველოს მიღება კანდიდატად, თორემ მათ სრულიად თა-ვისუფლად შეეძლოთ, იგივე გაემეორებინათ. მით უმეტეს, აგერ ცხრა პუნქტია დარჩე-ნილი და გეტყოდნენ, ვერ შეასრულე და არ მინდაო, მაგრამ უცბად, იმ ცხრა პუნ-ქტზეც დახუჭეს თვალი. რატომ? იმიტომ, რომ მათ მიერ თვალის დახუჭვას ჩინეთიდან ტვირთების ევროპაში ტრანზიტი განსაზღ-ვრავდა“, – განაცხადა **საყვარელიძემ.**

ირაკლი ქარქაშაძე: ქუთაისის აეროპორტი WIZZ AIR-ის მცირე ბაზიდან საშუალო ბაზად გარდაიქმნა

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორ-ტის ბაზაზე ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდმა ავიაკომპანია Wizz Air-მა საჰაერო ხომალდების რაოდენობა ოთხამდე გა-ზარდა და ქუთაისი-კოპენჰაგენი-ქუთაისის მიმართულებით პირდაპირი რეგულარუ-ლი ფრენების შესრულება დაიწყო, – ამის შესახებ ინფორმაციას აეროპორტების გა-ერთიანება ავრცელებს.

საქართველოს აეროპორტების გაერთია-ნების გენერალური დირექტორის, ირაკ-ლი ქარქაშაძის განცხადებით, ეს არის ის უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც Wizz Air-ი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ერთი წლის მანძილზე აორმაგებს გაზირე-ბული საჰაერო ხომალდების რაოდენობას და ახალ მიმართულებებს ამატებს.

„მინდა სრულიად საქართველოს მი-ვულოცო ევროკავშირის სტატუსის მოპო-ვება. სიმბოლურია, რომ დღეს, 27-ე მი-მართულებით დაიწყო ფრენები ქუთაი-სიდან ევროკავშირის მიმართულებით. კო-პენჰაგენი არის კიდევ ახალი შესაძლებ-ლობა ქუთაისის საერთაშორისო აერო-პორტისთვის, რომ მგზავრებმა უფრო კომ-ფორტულად, მოქნილად და შეღავათი-ან ფასებში იმგზავრონ ევროპის მიმარ-თულებით.

მეოთხე გაზირებულმა ხომალდმა სა-შუალება მოგვცა ქუთაისის აეროპორტი Wizz Air-ის მცირე ბაზიდან საშუალო ზო-მის ბაზად გადაქცეულიყო. რაც შემდგომი სტაბილური განვითარებისა და ზრდის წი-ნაპირობაა“, – განაცხადა ირაკლი ქარ-ქაშაძემ.

საქართველომ მეორედ სამეთაურო-საშტაბო სწავლებას MAPLE ARCH 2023 უმასპინძლა

საერთაშორისო სწავლების წარმატებით დასრულება მონაწილეებს საქარ-თველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა და თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეებმა მიულოცეს.

თავდაცვის ძალების ხელმძღვა-ნელმა პირებმა ყურადღება გაამახ-ვილეს ნატოსთან ურთიერთთავსე-ბადობის გაზრდის პროცესში მრა-ვალეროვნული სწავლებების მნიშ-ვნელობაზე. ქართულმა მხარემ მად-ლობა გადაუხადა კანადის თავდაც-ვის სამინისტროს, რომლის მენტო-რობითაც ჩატარდა აღნიშნული სწავ-ლება.

სწავლების მიზანი მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთთავსე-ბადობის გაზრდა, პარტნიორ ქვეყ-ნებს შორის თავდაცვის სფეროში კავშირების გაღრმავება, დაგეგმა-რებისა და სამშვიდობო ოპერაცი-ების განხორციელების პროცესში ნა-ტოს სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოება, ეფექტიანად მოქმედე-ბისა და გადაწყვეტილების მიღე-ბისთვის საჭირო უნარ-ჩვევების და-ხვეწა იყო.

MAPLE ARCH ყოველწლიური მრავალეროვნული სწავლებაა, რო-მელსაც როტაციის პრინციპით სხვა-დასხვა ქვეყანა მასპინძლობს. სა-ქართველოს თავდაცვის ძალები აღ-ნიშნულ წვრთნებში პირველად და-ტალიონის დონის შტაბით 2018 წელს ჩაერთო.

ადამ მიცკევიჩის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა დღეიდან ორმხრივად აღდგება

საგურთალოს რაიონში კიდევ ერთი ქუჩის რეაბი-ლიტაცია სრულდება. 18 დეკემბრიდან ადამ მიცკევი-ჩის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა სრულად აღდ-გება. ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

საგურთალოს რაიონის გამგეობის დაკვეთით მიმდი-ნარე ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში უკვე მოეწყო ტროტუარები, პანდუსები და სანიაღვრე ქსელი; მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდა საჰაერო ელექტ-როსადენები და სრულად მოწესრიგდა ბუნებრივი აირის დაზიანებული მიწისქვეშა ქსელი. ამ ეტაპისათვის, 7800 კვ. მ გზის სავალ ნაწილზე სრულდება ასფალტის საფა-რის დაგება და გარე განათების ახალი ქსელის მოწყო-ბა. გარდა ამისა, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს მთლიანად ტერიტორიის მოწესრიგების სამუშაოები, რომლის ფარ-თობი ჯამში 19 800 კვადრატული მეტრია.

პლატფორმა „მონა.ჯის“ აბსურდული იდეაფიქსი

(მესამე ბოლო)

ტელეარხ „იმედის“ საკ-ვირაო გადაცემაში ითქვა, რომ და-უმსახურებელი ბრალდების გამო ბატ. გიორგი კალანდია საჩივრით მიმართავს სასამართლოს. დარ-წმუნებული ვარ, სხვებიც ეცდებიან თავიანთი შელახული რეპუტაცი-ის აღდგენას და მიმართავენ სა-სამართლოს.

მიმაჩნია, რომ სასამართლომ ამგვარი სიმინდურის მტირაჟირე-ბელი საიტები უნდა აკრძალოს.

როგორც ჩანს, ქვეყნის ამ მო-ღალატე „მონა.ჯი“-ის შემქმნელებ-მა ვერა და ვერ შეიგნეს, რომ რუ-სეთი აგრესორია, მაგრამ ეს ქვე-ყანა ჩვენი ბედისწერაა. მათთან დალაპარაკების გარეშე შეუძლე-ბელია ჩვენი ეროვნული მიზნის შესრულება, ტერიტორიების დაბ-რუნება და ერთიანობის აღდგე-ნა. თუ გვინდა, რომ მიზანს მი-ვაღწიოთ, დაუძინებელი მტრის მო-დუნება უნდა შევძლოთ.

რუსეთის აგრესიული პოლი-ტიკის სასტიკი მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ თვალში ნაცარს ვერ შევიყრი. პატარა ქვეყნებს ბევ-რი დეფინიცია აქვთ. მათ შორის ჩვენ.

სამწუხაროდ, ნაც-კეკელასა და ჰაშიშ-გირჩს აბსოლუტურად არ ანაღვლებთ ქვეყნის გამთლიანების ბედი და პრობლემა. მათთვის ეს მეხუთეხარისხოვანია. თავად არიან „მონები“ ვიწრო პარტიული ზრახ-ვების, როგორმე შესძლონ ერთი „მუჯა“ მომხრეების დაბრიყვება.

თუ დღეს ქართველი ერის იდენტობა ასე თუ ისე შენარჩუნე-ბულია, გვაქვს სიმშვიდე. ჩვენი შვი-ლები და შვილიშვილები სკოლებ-ში და უმაღლეს სასწავლებლებ-ში უსაფრთხოდ დადიან, ხელისუფ-ლების სწორი ,პრაგმატული პო-ლიტიკის შედეგია. კავკასიაში ომე-ბისა და კონფლიქტების ეპოქა სრულდება. „ყარაბაღის“ პრობლე-მა მოგვარდა, სავარაუდოდ საქარ-თველო-რუსეთის კონფლიქტის გვირაბში სინათლის სხივი უნდა გავაჩინოთ.

მაგრამ ამის მიღწევას ხელს უშ-ლის ვიწრო პარტიული ზრახვები. ერთმანეთთან ურთიერთობის მწვა-ვე პრობლემა და მუდმივი დაპი-რისპირება, რასაც მტერი კარგად და მოხერხებულად იყენებს.

რომ ჩვენ ომებს გავურბივართ და მშვიდობას ვიცავთ, ძალიან კარგია. პატარა ქვეყნების ბედი გვავალებს დიდი სახელმწიფოე-ბის დავაში სიფრთხილე გამოვი-ჩინოთ. რაც მსოფლიოში ხდება ისედაც ჩვენზე გავლენას ახდენს. ამიტომ, ევროკავშირში გაწევრება მოგვცემს საშუალებას ჩვენი ხმა გავაგონოთ მსოფლიოს.

ევროკავშირის წევრობის სტა-ტუსი კარგია. როგორც კი დას-რულდება ომი უკრაინა- რუსეთს შორის, სავარაუდოდ, დღის წეს-რიგში დადგება საქართველოსა და სომხეთის მდგომარეობის სა-კითხები.

ქვეყნის მომავლის მოღალა-ტე პლატფორმა „მონა.ჯის“ ავტო-რების იდეაფიქსი ცხადზე უცხადე-სია. დააზიანონ ერის წინსვლა და გაერთიანე-ბის იდეა.

ბორის დავითაია,
მწერალი, სენაკის საპატიო მოქალაქე.

სამშენებლო სექტორში სჯერათ, რომ კანდიდატის სტატუსი უძრავ ქონებაზე მოთხოვნას და ფასს გაზრდის!

ქართველი გიზნესმენები და განსაკუთრებით სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები ამჯერად ფსონს კანდიდატის სტატუსზე დებენ. მათ ღრმად სწამთ, რომ ევროპული პერსპექტივის გაღრმავება დადებით ეფექტს მოიტანს. დეველოპერებისთვის ეს უძრავი ქონების გაძვირებაში გამოიხატება. მანამდე კი ამ მიმართულებით გარკვეული კლებაა.

უძრავი ქონების ბაზარზე 2023 წელს სტაბილურობა ჯერჯერობით შენარჩუნდა. როგორც „არსის“ გენერალური დირექტორი **ბესო ორთოიძე** განმარტავს, ბაზარმა გამოწვევებს გაუძლო, თუმცა არის რამდენიმე საკითხი, რაც პრობლემად რჩება. ეს არის მოთხოვნა-მიწოდების შესაძლო დისბალანსი და კადრებთან დაკავშირებული პრობლემა.

„მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნებული იყო სტაბილურობა და ეს ტრენდი გაგრძელდა. პანდემიური პერიოდის გამოწვევებისგან პრაქტიკულად არაფერი დარჩენილა, ბაზარი გაიზარდა. გასულ წელს სარეკორდო ზრდა გვქონდა როგორც სარეალიზაციო ფასის, ასევე თვითღირებულების ნაწილში. წელს ეს მდგომარეობა დასტაბილურდა“, – აღნიშნა ორთოიძემ და ხაზი გაუსვა, რომ დღესდღეობით უძრავი ქონების ბაზარზე ორი გამოწვევაა: „გაზრდილია სამშენებლო ნებართვების რაოდენობა. მომავალ წელს ეს შეიძლება რისკის მატარებელი იყოს იმ თვალსაზრისით, რომ მოთხოვნამ მიწოდებას გადააჭარბოს. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის პერსპექტივა მოთხოვნის სტიმულირებას მოახდენს. მეორე გამოწვევაა კადრები, რაც იყო და რჩება პრობლემად. აქაც ის ფაქტორი, რომ ნებართვები გაზრდილია და მოთხოვნა იმატებს, კადრების საკითხი უფრო პრობლემური ხდება და შეიძლება გაღრმავდეს კიდეც“, – აღნიშნა **ორთოიძემ.**

„არსის“ აღმასრულებელი დირექტორი იმედოვნებს, რომ მზარდი დინამიკა 2024 წელსაც შენარჩუნდება და ბაზარს ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრება.

„მნიშვნელოვანია სტაბილურობის შენარჩუნება, 2023 წელს ბაზარმა ამ კუთხით დადებითი დინამიკა აჩვენა და ეს უნდა შენარჩუნდეს. საფასო რყევები ბაზრისთვის სასურველი არ არის, როცა თვითღირებულების ასეთი მკვეთრი ზრდა ფიქსირდება“, – დასძინა „ბიზნეს ინსაიდერთან“ საუბრისას **ბესო ორთოიძემ.**

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, დადებითი მოლოდინი აქვს საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელს **ვაჟა მებაღიშვილს**, რომლის შეფასებითაც, თუ ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობა შენარჩუნდა, უძრავი ქონების ბაზარზეც ვითარება არ შეიცვლება.

„რეგიონში მიმდინარე პროცესების ფონზე საქართველო სტაბილურობას მაინც ინარჩუნებს და საინვესტიციოდ მიმზიდველი ქვეყანაა. შესაბამისად, ქვეყნის მიმართ არის გარკვეული ინტერესი და ვითარდება ინფრასტრუქტურა. ეკონომიკური მდგომარეობა მეტნაკლებად სტაბილურია და ეფექტებიც შესაბამისად დადებითია. კანდიდატის სტატუსი ამ მიმართულებით დამატებით როლს ითამაშებს“, – განაცხადა **მებაღიშვილმა.**

ბიზნესისთვის დადებით შედეგს ელის საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელი **მიხეილ ჭელიძეც**. მისი აზრით, კანდიდატის სტატუსის მონიჭების შემდეგ ევროპული ბიზნესი უფრო მეტად მიენდობა ქართულ ბიზნესს, რაც გარიგებების ოდენობას გაზრდის.

„ევროკავშირის სტატუსის მონიჭების შემდეგ, ერთიორად გაიზრდება ის შესაძლებლობები, რაც დღეს გვაქვს. ევროკავშირთან ყოველწლიურად ბრუნვა 2-3%-ით იზრდება. კანდიდადის სტატუსის მონიჭება ნიშნავს იმასაც, რომ ევროპული ბიზნესი უფრო მეტად მიენდობა ქართულ ბიზნესს, რაც გულახსმობს იმას, რომ გარიგებების ოდენობა უფრო გაიზრდება. ზუსტად რა მოხდება ვერავინ იტყვის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმის თქმა შეიძლება, რომ მინიმუმ 50%-იანი წისვლა იქნება. ეს კარგი ამბავი ეკონომიკურ შესაძლებლობებს მინიმუმ გააორმაგებს“, – განაცხადა მიხეილ ჭელიძემ.

დღევანდელი გადასახედიდან ცოტა რთული წარმოსადგენია, კანდიდატის სტატუსმა როგორ უნდა გააქტიუროს ბიზნესი და მათ შორის, უძრავი ქონების ბაზარი.

ჯერჯერობით, ამ სექტორში გარკვეული უკუსვლა დასტურდება. მიმდინარე წლის ნოემბერში უძრავი ქონების ბაზარზე დიდი ვარდნა დაფიქსირდა. 2023 წლის ნოემბერში თბილისში საცხოვრებელი ბინების ტრანზაქციების რაოდენობამ 3390 ერთეული შეადგინა და წინა წლის ნოემბერთან შედარებით 16%-ით შემცირდა. „ქოლიერს ჯორჯიას“ ინფორმაციით, ბაზრის ზომა 7%-ით – 215 მილიონ აშშ დოლარამდეა შემცირებული.

2023 წლის ნოემბერში თბილისში ახალ პროექტებში ტრანზაქციების 10%-იანი კლებაა, ძველ პროექტებში კი, მაჩვენებელი 27%-ით შემცირდა.

2023 წლის ნოემბერში ბათუმში საცხოვრებელი ბინების ტრანზაქციების რაოდენობამ 993 ერთეული შეადგინა და წინა წლის ნოემბერთან შედარებით 41%-ით იკლო. ბაზრის ზომა 43%-ით – 43 მილიონ აშშ დოლარამდეა შემცირებული. 2023 წლის ნოემბერში ბათუმში ახალ პროექტებში ტრანზაქციების 44%-იანი კლება იყო, ძველ პროექტებში კი – 24%-იანი.

ბექა დანელია

საწვავი პრ გაძვირდება!

ბოლო ხანს საქართველოში საწვავი მცირე ავტობასამართ სადგურებზე იაფდება, ხოლო გრენდირებულ სადგურებზე ფასი სტაბილურია. არანაირი ნიშნები იმისა, რომ ნავთობპროდუქტები გაძვირდება, არც ქვეყნის შიგნით და არც საერთაშორისო ბირჟებზე არ იკვეთება. მიუხედავად ამისა, გაჩნდა სრულიად საპირისპირო ინფორმაცია.

ეკონომიკის სამინისტრო საწვავის ფასის შესაძლო ზრდის შესახებ მედიაში გავრცელებულ ცნობას ეხმიანება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საქართველოში बენზინის სამომხმარებლო ფასის ზრდის საფუძველი არ არსებობს“. როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ქართველ იმპორტიორებს აქვთ შესაძლებლობა, बენზინი საერთაშორისო ფასზე იაფად შემოიტანონ.

„საქართველოში बენზინის სამომხმარებლო ფასის ზრდის საფუძველი არ არსებობს – ქართველ იმპორტიორებს აქვთ შესაძლებლობა, बენზინი საერთაშორისო ფასზე იაფად შემოიტანონ. შესაბამისად, ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ცნობა बენზინის ფასის შესახებ არის აბსოლუტური დეზინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას და პანიკური აჟიოტაჟის შექმნას. საქართველოში बენზინის საერთაშორისო ფასზე იაფად შემოტანის ტენდენცია მომდევნო თვეებშიც შენარჩუნდება“, – ნათქვამია განცხადებაში.

სამინისტროს პოზიციას იზიარებენ ის बიზნესმენებიც, რომლებიც უშულოდ თვითონ ეწევიან საწვავის იმპორტს ქვეყანაში. „სენტა ოილის“ დამფუძნებლის **ზაალ იაკობიძის** ინფორმაციით, ახლა ვითარება ისეთია, რომ საერთაშორისო ბაზარზე ფასების კლების ტენდენციაა, გარდა ამისა, რუსეთში იაფად შეძენილი საწვავი, ჯერ კიდევ გზაშია, მთლიანი რაოდენობა არც შემოსულა, ამიტომ, გაძვირება კი არა, მოსალოდნელია გაიაფება.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთი ქვეყნებს საწვავს იაფად აღარ მიაწვდის, ოფიციალურად არ დასტურდება. როგორც იაკობიძე ამბობს, მსგავსი განცხადება არ გაკეთებულა და მისთვის ცნობილი არ არის, სიმართლეს შეესაბამება თუ არა.

იმპორტიორთა პოზიციას იზიარებს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი ლექვინაძეც**, რომელიც ადასტურებს, რომ ბაზარზე არსებული მდგომარეობა სტაბილურია და ამიტომ საცალო ქსელებში საწვავის გაძვირება მოსალოდნელი არაა. ევროპულსა და რუსულ საწვავს შორის ფასები დაახლოვდა, თუმცა რუსული ნავთობპროდუქტი მაინც უფრო დაბალ ნიშნულს ინარჩუნებს.

„ამ დროისათვის, რუსული საწვავი თვითღირებულებით გარკვეულ უპირატესობას ფლობს, თუმცა ევროპული და რუსული საწვავის თვითღირებულებას შორის ისეთი მკვეთრი სხვაობა არ არის, როგორც შარშან. რუსული ბაზრის პროგნოზირება ძალიან რთულია, თუმცა დღეს არანაირი გლობალური ან შიდა ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ფასების მკვეთრი მერყეობა გამოიწვიოს, არ შეიმჩნევა.

შეიძლება რუსულ საწვავთან მიმართებით ვითარება გარკვეულწილად იცვლება, მაგრამ ამ მომენტისთვის ეს ჩვენთვის გადამწყვეტი არ არის და გავლენის მომხდენი არ არის, გარკვეული დეზინფორმაცია არის, რათა მომხმარებლები შეყვანილი იყვნენ შეცდომაში“, – განაცხადა **ლექვინაძემ.**

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2023 წლის 10 თვეში საქართველომ 929 მილიონი დოლარის ღირებულების 1.1 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტები შეიძინა. მათ შორის ყველაზე მეტი – 503 მილიონი დოლარის ღირებულების 704 ათასი ტონა საწვავი საქართველომ რუსეთიდან მიიღო. 134 მილიონი დოლარით და 153 ათასი ტონის იმპორტით მეორე ადგილი რუმინეთმა დაიკავა, მესამეზე კი 68 მილიონი დოლარით და 79 ათასი ტონის იმპორტით აზერბაიჯანი გავიდა.

ბექა დანელია

◎ წერილები რედაქციას

ახალი ტექნიკა იქნებ სხვაგანაც გამოვიყენოთ?!

ძვირფასო „საქართველოს რესპუბლიკელებო“, ამ ორ წერილს თქვენი გაზეთის ერთგული და მუდმივი მკითხველი გწერთ. რამდენიმე ხნის წინათ, სწორედ თქვენს გაზეთში წავიკითხე ინფორმაცია კობი-გუდაურის გზის მშენებლობის შესახებ, სადაც ნახსენები იყო, რომ გვირაბი, ამ მართლაც საუკუნის გზის მშენებლობაზე, უცხოური, უნიკალური, სპეციალური დანადგარით უნდა გაიყვანონ, რომელიც, თუ არ ვცდები, ჩვენთან პირველად იქნება გამოყენებული გვირაბმშენებლობაში. სწორედ მაშინ დამებადა იდეა — თუ შესაძლებელია (რა თქმა უნდა, სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით), ამგვარი დანადგარით გაკეთდეს გვირაბი გომბორზე, რაც გააუმჯობესებს კომუნიკაციას აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთის რეგიონთან. ეს გააადვილებს ურთულესი გზის გაყვანას, დიდ სარგებელს მოუტანს არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ ტურისტულ სექტორსაც. ყველას მოგეხსენებათ, თუ რა რთული მონაკვეთია გომბორის უღელტეხილი, რომელიც, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, დიდ სირთულეს უქმნის მგზავრებს.

თუ სახელმწიფოს არ აქვს ამის შესაძლებლობა, იქნებ შევქმნათ სპეციალური ფონდიც, სადაც მსურველები, შეძლებისდაგვარად, დავაფინანსებთ და დიდ საშვილიშვილო საქმესაც ადვილად გადავჭრით. ეს მართლაც „სახალხო პროექტი“ იქნება.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით მსურს ჩემი სურვილი, საყოველთაო მოწოდება-თხოვნად გავახმოვანო და იმედი ვიქონიო, რომ გაზეთის მკითხველთა შორისაც აღმოჩნდებიან ის ადამიანები, რომლებიც გაიზიარებენ ჩემს აზრს.

ყველას კარგად მოგეხსენებათ საქართველოს სახალხო არტისტის, უბადლო კომპოზიტორისა და ხალხისთვის საყვარელი პიროვნების, ბატონ რეზო ლაღიძის **შემოქმედების შესახებ. მისი უკვდავი ნაწარმოებები, კერძოდ სიმღერები, დღესაც, ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც სამწუხაროდ მელომანთა გემოვნება შეიცვალა და მუსიკის სფერო დაიპყრო უცხოურმა, იაფფასიანმა და მდარე ნაწარმოებებმა, მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ქართველ, გემოვნებიან მსმენელს არ დაუკარგავს სიყვარული და პატივისცემა ლეგენდარული კომპოზიტორის შემოქმედების მიმართ. შესანიშნავ ქართველ პოეტთა ლექსებზე შექმნილი რეზო ლაღიძის სიმღერები, რომლებიც ქართულ მხატვრულ ფილმებს ალამაზებდნენ, საუკუნეებს გაუძლებს. საუცხოო „თბილისო“ ხომ მთელმა მსოფლიომ შეიყვარა და ჩვენი დედაქალაქის ჰიმნადაც იქცა.**

დიდი კომპოზიტორი თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონშია დაკრძალული, რაც მისი შემოქმედებისა და ხალხის სიყვარულითაა განპირობებული. ჩემი და არა მარტო ჩემი, უამრავი ადამიანის (იმედი მაქვს ამ წინადადებას კიდევ მრავალი მოქალაქე აიტაცებს) სურვილია ბატონი რეზოს ნეშთი გადავიტანოთ მთაწმინდის პანთეონში. ჩვეულებრივი პრაქტიკაა უცხოეთის ბევრ სახელმწიფოში — პიროვნებას, რომლის ღვაწლიც და სახელიც წლებს გაუძლებს და მისი პატივისცემა კიდევ უფრო მატულობს, მის ნეშთს პანთეონში მიუჩენენ ადგილს წლების შემდეგ.

მსურს ამის შესახებ თავიანთი აზრი გაგვიზიარონ ცნობილმა ადამიანებმა. დიდუბის პანთეონი მართლაც დიდებულ ადამიანთა სავანეა, მაგრამ მთაწმინდა მაინც ერთეულთა ხვედრია და რეზო ლაღიძეც სწორედაც რომ ერთეული, გამორჩეული იყო...

მთაწმინდა, მაინც ერთეულთა ხვედრია...

პაგივისცემით

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.



მესხური ფოლკლორის კვლავ გაბრწყინება

სახელგანთქმულ პოემა „სადღეგრძელოში“ გრწყინვალე პოეტი გრიგოლ ორბელიანი თითო მახვილი ეპითეტით ახასიათებს ქართველ ტომებს. მესხი კაცი კი ასეა წარმოჩენილი: „მესხი სწავლითა ქებული!“

ეს „სწავლით ქებულობა“ მრავალ რამეში მჭვირვალეებს: ყველაზე მნიშვნელოვანი მწერლები ამ მხარეს მოუცია ქვეყნისთვის. მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოში ჩამოთვლილთაგან რამდენია მესხი: „აბდულმესიას“ ავტორი შავთელი, „დილარგეთიანისა“ და „ვისრამიანის“ შემოქმედი სარგის თმოგველი, „ტარიელიანის“ ავტორად შერაცხილი რუსთველი და, ბოლოს, „ვინმე მესხი მელექსე“, დაუვიწყარი სიტყვების ავტორი:

გასრულდა მათი ამბავი
ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი,
ნახეს სიმუხთლე უამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა
არის ერთისა წამისა.
ვსწერ ვინმე მესხი მელექსე
მე რუსთველისა დამისა.

ამას მიუმატეთ არაერთი გამოჩენილი სარდალი და მათი გმირობა; ახლა გავიხსენოთ სასულიერო პირები და მათი „საქმენი საგმირონია“. ჯერ მარტო გრიგოლ ხანძთელი და ძმანი მისნი რას იქმოდნენ ამ საოცარ მხარეში, ახლა ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში კათალიკოსის დონეზე აწეული მაწყვერელი და მაწყვერლობა გავიაზროთ.

და ყოველივე ნათელი გახდება: წარსულით უზომოდ აღტაცებული რომანტიკოსი ამ შემთხვევაში არაფერს აბუქებს, არ ამატებს, არ აიდეალებს. მისი შეფასება მისხის მისხით აფთიაქის სასწორზეა აწონილ-გაზომილი!

ამის კიდევ ერთი დასტურია შესანიშნავი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის **ავთანდილ ბერიძის** რუდუნებითი ნამუშევარი – მესხური ფოლკლორის II უბარმაზარი ტომი (I ტომი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა).

მესხური ფოლკლორის კვლავ გამობრწყინებაში ბატონ ავთანდილს ფრიად და ფრიად დახმარებიან მწერალი და პედაგოგი **სოსო გიქოშვილი**, სახალხო მთქმელი **ანტონ ბალახაშვილი**, ისტორიკოსი **რეზო ანდღულაძე,** პოეტი **ვაჟა სამსონიძე**.

ტომში ფართოდ არის წარმოდგენილი გამოცემებსა და კრებულებში მიმობნეული მასალები, რომლებიც თავის დროზე მოიძიეს, ჩაიწერეს და დასტამბეს **იოანე და კონსტანტინე გვარამაძეებმა, ვასილ კოპტონაშვილმა, ილია ალხაზიშვილმა, სერგი მაკალათიამ, ივანე ბარიკალაშვილმა, ნაზირა ვაჩნაძემ...**

ერთობ საინტერესოა ცალკე განყოფილებად წარმოდგენილი ეპიტაფიები და შელოცვები.

შემდგენელი ბატონი ავთანდილ ბერიძე გულდაწყვეტით დასძენს: დანამდვილებით ვიცით, ბევრი სხვა მასალაც არსებობს, ოღონდ ჯერჯერობით ვერ აღმოვაჩინეთო.

ვაცხადებ: დასტურ ასეა!

მე პირადად კოხტად გაფორმებული და სუფთად გადაწერილი ლექსებით, ლეგენდებითა და თქმულებებით სავსე მთელი ერთი სქელი რვეული ჩავაბარე თბილისის უნივერსიტეტს 1968 თუ 1969 წელს და ის მასალები ამ კრებულში არ ჩანს.

ვინ იცის, ჩემსავით რამდენმა ჩაიწერა მესხეთში მივლინებისას ფოლკლორული ნიმუშები. მათი დაკარგვა არ ეგების!

პოეზიის გურმანი, თუნდაც ის იყოს მურმანი, თვალს ვერ მოარიდებს ასეთ პოეტურ ნაპერწკალს: „სიყვარული ორის თავდავიწყებული თამაშია“ (14); თუმცა კი ხიფათივით გავურბივარ წერილის მოცულობის გაზრდას, არ შემიძლია არ მოვიყვანო ეს სტროფი:

ვოქვი, თუ სიტყვას ვემსახურო,
ლამის გასკდეს ბოღმით გული;
სად წუხილი, სად მეჯლისი,
სასმისების წკარაწკური! (26)

აშუღ ბაბაის ვერც ამ აღმონათქვამს ჩავუარე გულგრილად:

ამის გამო ჩამიბნელდა ტყე-ველი,
უყარიბოდ რა ვარ, განაწირი მე,
ცრემლთა გუბეს ვეზიარე, ვტირი მე,
დედი, მუნჯი ვიყავ, რატომ ამამეტყველე?! (31)

მთქმელ ნიკოლოზ ბაბაძესაც რა კარგად უთქვამს, რაც უთქვამს:

გაღმა გავალ, გამოგიტან ბეჭედსა,
შალს გიყიდი, დაგიმშვენებ ბეჭებსა (34).

გონება მიწყრება, ძუნწად უნდა მოიხმო ნიმუშებიო, ოღონდ გული არა და არ მანებებს ამას. სული ტკბილია და აი, ესეც, კიდევ ერთი, ჩემი ფიქრით, მარგალიტი სახალხო მთქმელ ვლადიმერ ბერუაშვილის „დივანიდან“:

არ მიცინის გულის სატრფო,
კისკისით რომ მოვიდა;
ერთ დროსაც რომ მთლად გამძარცვე
ქონებიდან, ყოფიდან.
მუხანათო, ჰა სიცოცხლეც!
– ვითომც სულ არ ყოფილა,
რაღად მინდა, შენი იყოს,
ღიმილიც არ მაცალე (52).

მთქმელ ბერუაშვილის არაერთ სხვა მწველ ტაეპს დანანებით გამოვემშვიდობები და საღლიცინო-სახუმარო კუპლეტებს წავეტანები:

დედამ კაბა შემიკერა,
მოკლე იყო, ლენტიანი;
ოცდახუთი მერიგება
შენისთანა რეტიანი (75).
არც ვაჟის პასუხია ურიგო:
ამოდუღდი, მარგალიტო,
საგუბარში ჩადექ წყალო!
არც ისეთი ლამაზი ხარ,
რა თავს იმადლები, ქალო?! (93)

ზოგ ხალხურ ლექსს აშკრად ატყვია გრ. ორბელიანისა და აკაკის ზეგავლენა. ეს არც გასაკვირია: ზოგი მთქმელი მოესწრო სკოლაში აკაკისა და გრიგოლის პოეზიის შესწავლას. კრებულში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრია მასალა შოთა რუსთველზე, თამარ მეფეზე; საკმაოდაა ასახული ზარზმის რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაცია გურიაში. აქვე დავსძენ: სოფ. შემოქმედში შემოქმედის ტაძრის ეზოში აღმართულია ტაძარი ზარზმა – ზარზმიდან გადმოტანილი ეკლესია. და, ხალხი რომ გადმოსახლებულიყო თურქთა მოწოლის გამო, რა გასაკვირია?! ერთობ საგულისხმოა, რომ სამცხეშიც ყოფილა ტოპონიმი ჩოხატაური ამ ფორმით **ჩახატაური** (1023).

ამრიგად, კიდევ ერთი ტოპონიმი იხდის ჩადრს: გურული **ჩოხატაური** მეორეული ტოპონიმია, პირველადია მესხური **ჩახატაური**, სწორედ ისე, როგორც გურიის დედაქალაქი **ოზურგეთი** მიღებულია სამცხის დედაქალაქისაგან **ოძრხე**. ფონეტიკური პროცესი ასე წარიმართა: **ოძრხე→ ოძურხე→ ოდზურხე → ოზურხე→ ოზურხეთი→ ოზურგეთი.**

ამ დიდ წიგნს უნდა შევკადრო მცირე შენიშვნები: ბევრი ლექსი და ფოტოსურათი მეორდება (348, 349, 351, 353); მოუწესრიგებელია პუნქტუაცია; გოჰარი (9) განმარტებულია, როგორც ძვირფასი, სინამდვილეში მარგალიტია; აფორიზმი „ცემა გმართებს გამზრდელისა“ (419) რუსთველის კი არაა, არამედ – ვახტანგ მეექვსისა; ასევე აფორიზმი „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“ (421) „ვეფხისტყაოსანში“ არსადაა, იგი ხალხურია.

ქართველი ხალხი მარად მადლიერი დარჩება ბ-ნი ავთანდილ ბერიძისა და მისი გუნდისა. მათ ხომ კიდევ ერთხელ გვაზიარეს ხალხურ საუნჯეს, რომელსაც დაბერება არ უწერია.

მურმან თავდიშვილი

ბაჩო ოდიშარია:

„ცხელი ძაღლის“ შემდეგ კინოში ცენზურა არ ყოფილა!

ვინ არის რეჟისორი შტა ბერია?!

კინოცენტრი არავის დუქანი არაა და როდესაც ის ახორციელებს პროგრამას ყველანაირი იურიდიული ნორმების დაცვით და იღებს თანხმობას, მოგვიანებით, ლიბერალური გულინგით დაშინებული ადამიანების პოზიციების ცვლილებები ვერ იქნება ფაქტორი კინოცენტრის პროექტების ფუნქციონირებისთვის, – წერს სოციალურ ქსელში ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსი **ბაჩო ოდიშარია, უტა ბერიას ფილმის ჩვენების თაობაზე.**

ბაჩო ოდიშარიას თქმით, ფილმის ჩვენება შეთანხმებული იყო პროდიუსერთან, მაგრამ მას შემდეგ რაც ფილმი პროგრამაში ჩაჯდა, ბოიკოტში მყოფმა სუბიექტებმა დაამუნათეს რეჟისორი და მოითხოვა მისი ამოღება, რითაც დადასტურდა, რომ ენჯეო რეჟისორების საფესტივალო კასტა, ქართველი მაყურებლისთვის არ იღებს ფილმებს და აგრეთვე თავად არიან ცენზორები.

„კინოცენტრში მისვლისთანავე, ჩემი ერთ-ერთი პირველი ინიციატივა იყო, რომ თანამედროვე ქართული ფილმების უფასო რეტროსპექტივა მოგვეწყო, რადგან ახალი ფილმები ქართველი მაყურებლისთვის უცნობი და ხელმიუწვდენელი იყო ამდენ ხანს და მსგავსი რეტროსპექტივაც არასოდეს გაკეთებულა. ამის ფარგლებში, ყველა მოაზრებული ფილმის რეჟისორს გავუგზავნეთ ნებართვის კეთილი ნების წერილი (კეთილი ნების იმიტომ, რომ კინოცენტრი ნებართვას პროდიუსერისგან იღებს მისი დაფინანსებული ფილმის ჩვენებაზე, რაც ძალზედ არასწორია – კინოცენტრს მისი დაფინანსებული ფილმის არაკომერციულ ჩვენებაზე ნებართვა ჭირდებოდეს – და აუცილებელია ამ წესის ცვლილება). ერთ-ერთმა ბოიკოტში მყოფმა რეჟისორმა, უტა ბერიამ, მას შემდეგ რაც არ უპასუხა ორჯერ მიწერილ მეილს, შემდგომ მასთან განხორციელებული სატელეფონო ზარისას განაცხადა, რომ ჩვენებაზე თანხმობას პროდიუსერი იძლევა და მისგან აიღეთ ნებართვაო.

პროდიუსერმა ჩვენებაზე თანხმობა განაცხადა, რის შემდეგაც ფილმი ჩაჯდა პროგრამაში. პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ, ბოიკოტში მყოფმა სუბიექტებმა დაამუნათეს რეჟისორი, რატომ არის შენი ფილმი პროგრამაშიო, რის მერეც, დაგვდო პატივი და მოგვწერა, რომ არ იყო თანახმა ფილმის ჩვენებაზე. მას განემარტა, რომ სატელეფონო საუბარში თავადვე განგვიცხადა, მსგავს გადაწყვეტილებას ფილმის ჩვენების ნებართვაზე იღებდა პროდიუსერი, ხოლო პროდიუსერისგან ჩვენ გვქონდა თანხმობა.

ამის შემდეგ ის დაუკავშირდა პროდიუსერს და მოსთხოვა რომ მას მოეწერა ფილმის ამოღების შესახებ წერილი. პროდიუსერმა მოიწერა, რომ რეჟისორმა მას სთხოვა, ფილმის ამოღება, მაგრამ არ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია, რაც ერთადერთია, ამ მომენტში არსებული კინოცენტრის შიდაგანაწესის მიხედვით, რაც წყვეტს ფილმის გაშვების საკითხს. მოკლედ, დღეს იყო ბერიას ფილმის ჩვენება, რადგან როგორც უკვე ითქვა, კინოცენტრი არავის დუქანი არაა და როდესაც ის ახორციელებს პროგრამას ყველანაირი იურიდიული ნორმების დაცვით და იღებს თანხმობას, მოგვიანებით, ლიბერალური გულინგით დაშინებული ადამიანების პოზიციების ცვლილებები ვერ იქნება ფაქტორი კინოცენტრის პროექტების ფუნქციონირებისთვის. დღეს ბერია მივარდა კინოს სახლში, ვანდალურად გაათიშინა ერთი საათის დაწყებული ჩვენება და მაყურებელს განუცხადა, რომ ის არ იყო თანახმა ფილმის ჩვენებაზე და კინოცენტრმა ისე გაუშვა ფილმი.

ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩემი არაერთგზის ნათქვამი, რომ ეს ენჯეო რეჟისორების საფესტივალო კასტა, ქართველი მაყურებლისთვის არ იღებს ფილმებს და აგრეთვე ის ფაქტი, რომ თავად არიან ცენზორები, რადგან კინოს ცენზურის მსგავსი ფაქტი, მას შემდეგ, რაც „ცხელი ძაღლი“ დააცენზურეს ნაცებმა, ქართულ კინემატოგრაფში არ გვქონია – შუა სეანსიდან ფილმი გაეთიშოთ. ამით კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა რა პრიორიტეტები აქვთ ბოიკოტის ავანგარდში მყოფებს და რა ტიპის ურთიერთობა და მიმართება ჰქონდათ მათ კინოცენტრთან. მაგრამ მათი თავგასულობა აღარ გაგრძელდება, ეს არაა ძველი კინოცენტრი, რომელსაც საკუთარი ჯიბის ინსტიტუციად იყენებდნენ და ეს არ არის დუქანი. კინოცენტრის, როგორც ინსტიტუციის პატივისცემის სწავლა მოგიწევთ, და ამას ან ისწავლით, ან გასწავლით!“ – წერს ბაჩო ოდიშარია Facebook-ზე.

ᲒᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲠᲘᲝᲜᲖᲔ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

„ᲙᲣᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ ᲡᲐᲬᲜᲐᲮᲚᲘᲗ ᲛᲘᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ...



ᲢᲘᲕᲘ, ᲝᲠᲗᲯᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲘ, ᲙᲐᲛᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲜᲐᲮᲔᲚᲘᲪ ᲙᲘ – ᲠᲘᲗ ᲓᲐᲪᲣᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲨᲘ? ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲛᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ „ᲡᲐᲛᲓᲘᲜᲐᲠᲝ-ᲡᲐᲒᲖᲕᲐᲝ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲐ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲚᲘ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲛᲘᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲕᲘᲗ – ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲚᲘᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ.

„ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.

– ᲒᲐᲢᲝᲜᲝ ᲗᲔᲛᲣᲠ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲡᲐᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲯᲔᲠ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ ᲢᲘᲕᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚ ᲛᲝᲠᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲜᲐᲕᲡ – „ᲙᲐᲛᲐᲠᲐᲡ“. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲘᲗ ᲓᲐᲪᲣᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲑᲠᲘᲕᲘᲡᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲨᲘ?

– ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲓ, ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 100-110 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲗᲣ �გᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲘᲡᲘᲪ ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠᲐᲓ. ᲖᲐᲮᲯᲣᲚᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, �გᲐᲘᲕᲚᲘᲓᲘ ᲐᲛ 110 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲡ, ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ – ᲕᲔᲠᲐ. ᲐᲛ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ �გᲔᲛᲔᲑᲘ. �გᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲗᲔᲛᲔᲑᲘ ᲠᲘᲝᲜᲖᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲡ, ᲐᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲡᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲘᲕᲘ ᲘᲧᲝ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ – ᲛᲝᲠᲨᲘ ᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲐᲪᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘ, ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ, ᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ – ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲒᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲗᲝᲨᲘ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲖᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ.

– ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲤᲢᲘᲡ ᲒᲠᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ?

– ᲐᲠᲐ, ᲡᲘᲓᲣᲮᲭᲘᲠᲘᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲤᲘᲜᲘᲥᲘᲐᲨᲘ ᲐᲐᲒᲔᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲧᲝ �გᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐᲛᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ �გᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲑᲘᲫᲒᲘ, ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲛ – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲖᲦᲕᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲪ. ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲛᲐ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲔᲡ, ᲛᲔᲠᲔ – ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲔᲑᲛᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ. ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ.

– ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲤᲢᲘᲡ ᲒᲠᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ?

– ᲐᲠᲐ, ᲡᲘᲓᲣᲮᲭᲘᲠᲘᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲤᲘᲜᲘᲥᲘᲐᲨᲘ ᲐᲐᲒᲔᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲧᲝ �გᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐᲛᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲑᲘᲫᲒᲘ, ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲛ – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲖᲦᲕᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲪ. ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲛᲐ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲔᲡ, ᲛᲔᲠᲔ – ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲔᲑᲛᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ. ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ.

– ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲣᲐᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲘ ᲘᲛᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲧᲣᲠᲔᲔᲑᲘ, ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ?

– ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲓ, ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 100-110 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲗᲣ �გᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲘᲡᲘᲪ ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠᲐᲓ. ᲖᲐᲮᲯᲣᲚᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, �გᲐᲘᲕᲚᲘᲓᲘ ᲐᲛ 110 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲡ, ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ – ᲕᲔᲠᲐ. ᲐᲛ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ �გᲔᲛᲔᲑᲘ. ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲠᲣᲡᲗᲒᲛᲐ ᲗᲔᲛᲔᲑᲘ ᲠᲘᲝᲜᲖᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲡ, ᲐᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲡᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲘᲕᲘ ᲘᲧᲝ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ – ᲛᲝᲠᲨᲘ ᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲐᲪᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘ, ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ, ᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ – ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲒᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲗᲝᲨᲘ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲖᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ.

– ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲚᲘᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲢᲐᲢᲐ (95-135ᲬᲬ.), ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ, Ი�გᲘᲕᲔ ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲘᲧᲝ, 10 ᲬᲚᲘ ᲐᲠ ᲤᲣᲭᲓᲔᲑᲝᲓᲐᲝ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ?

– ᲠᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲖᲕᲘᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲪ ᲘᲧᲝᲡ.

– ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐ�პᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲔ-9 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲕᲐᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘᲪ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲕᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ?

– 3000 ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ (ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲓᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ) ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲔᲤᲔᲛ ᲓᲐᲘᲥᲘᲠᲐᲕᲐ. ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ 3000 ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲘᲓᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 700 ᲬᲐᲕᲘᲓᲐ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲬᲘᲐᲗ, ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ.

ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚ ᲑᲔᲚᲐᲓᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲐᲠᲮᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲐᲜ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲣᲨᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲠᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲗᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲦᲝᲠᲦᲘᲗ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲕᲡᲔ. ᲘᲥ �გᲔᲛᲘ ᲕᲔᲠ �გᲐᲘᲕᲚᲘᲓᲐ, ᲓᲐᲘᲚᲔᲬᲔᲑᲝᲓᲐ. ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ 80-ᲛᲓᲔ �გᲔᲛᲘᲗ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲐᲕᲔᲑᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲣ �გᲐᲘᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲠᲘᲝᲜᲖᲔ. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲛᲑᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲒᲔᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲥ ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲐ.

– ᲠᲐᲛᲔ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲠᲘᲝᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲖᲔ?

– ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ (ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ 1853-1856 ᲬᲬ.) ᲠᲣᲡᲘ ᲙᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲚᲘᲐᲡ ᲠᲘᲝᲜᲗᲐᲜ ᲑᲐᲖᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ, ᲮᲔᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲮᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲐᲡ ᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. �თᲣᲠᲥᲣᲚ �გᲔᲛᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲙᲐᲖᲐᲙᲔᲑᲡ ᲐᲢᲧᲝᲛᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲒᲔᲛᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲙᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲭᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ.

– ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲨᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ, ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲛᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲣᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲖᲝᲒᲘ ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ ᲡᲐᲬᲜᲐᲮᲚᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ.

– ᲙᲘ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ.

– ᲠᲝᲓᲘᲡ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ, ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲠᲘᲝᲜᲖᲔ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ?

– ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲠᲙᲘᲜᲘ�გᲖᲐ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔᲪ �გᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲪᲣᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐ – ᲩᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ �გᲔᲛᲘ ᲓᲐ Მ�გᲖᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ �გᲖᲐ ᲜᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ.

– ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ �გᲔᲛᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲠᲘᲝᲜᲖᲔ: „ᲐᲙᲔᲠᲛᲐᲜᲘ“, „ᲡᲔᲡᲢᲠᲘᲪᲐ“, „ᲙᲜᲘᲐᲖ ᲑᲐᲠᲘᲐᲢᲘᲜᲡᲙᲘ“...

– ᲙᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ �გᲔᲛᲘ ᲘᲧᲝ „ᲐᲙᲔᲠᲛᲐᲜᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲑᲛᲐ ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ �გᲔᲛᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲖᲝᲒᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲐᲒᲔᲡ. ᲛᲐᲗᲐᲪ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ: ᲘᲐᲠᲐᲦᲘ, ᲭᲣᲠᲕᲔᲑᲘ, ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ, ᲝᲠᲘ ᲮᲘᲓᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲪ. ᲔᲡ ᲒᲔᲛᲘᲗ ᲝᲠᲗᲥᲚᲘᲡ ᲫᲠᲐᲕᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ.

ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲔᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲘᲒᲘᲐ, ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲒᲔᲑ, ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲓᲐ �გᲔᲛᲘ ᲨᲔᲛᲝᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲡ. ᲐᲚᲑᲐᲗ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲕᲒᲔᲗᲨᲘ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲡᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲑᲓᲐ...

ᲗᲔᲐ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ,
„ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

ᲓᲐᲧᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲔᲜ???

**„ᲓᲘᲓᲘ ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘ“ ᲒᲐᲧᲘᲜᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲐᲨᲢᲤᲢᲡᲨᲤᲓ Times-Ი ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔ

პროსტიტუციის ისტორია

ანტიკურ და შუასაუკუნოვან პროსტიტუციას შორის უწყვეტი კავშირის დამადასტურებელი მრავალი მოწმოგა არსებობს, რომლებსაც რომაულ-ლათინური კულტურა ინახავს – ამას თვალნათლივ მოწმობს ტერმინოლოგია, ზოგიერთი ძველისძველი წეს-ჩვეულება, ზნეობრივი კოდექსის ნორმები, ასევე იტალიისა და სამხრეთ საფრანგეთის ძველი ქალაქების ზოგიერთი სახელი.

იგივეს თქმა შეიძლება გერმანიის ჩრდილოეთისა და ინგლისის შესახებ. სულაც არაა შემთხვევითი, რომ, ზოგადად, **აღმოსავლეთმა, უწინარესად ბერძნული ზეგავლენის შედეგად, თავისუფალი პროსტიტუცია ამჯობინა, ხოლო რომაულით, დასავლეთმა საბორდელო პროსტიტუციას მიანიჭა უპირატესობა.**

შუასაუკუნოვანი ევროპული საროსკიპოები, რომაული ბორდელების ზუსტ ასლს წარმოადგენდნენ – ასე იყო, მაგალითად, ლიონში, ტრირში, მაინცში, კელნში, ლონდონში, იორკში, ესპანეთის, იტალიისა და აფრიკის ჩრდილოეთის ქალაქებში. ამის უტყუარი დასტურია თუნდაც ზოგიერთ ენაში, ვთქვათ, ინგლისურში, ირლანდიურში, ასევე ყველა რომანულ ენებში დამკვიდრებული მეძავური ტერმინოლოგია – ავიღოთ თუნდაც ერთი სიტყვა – „Puta“, „putana“ – „მეძავი“, „ბობი“, „როსკიპი“.

საქალაქო პროსტიტუციისადმი და, ზოგადად, მეძავობის მიმართ გერმანელთა სიძულვილის მიუხედავად, რომელმაც ასახვა ჰპოვა ვესტგოტების მიერ მიღებულ მკაცრ კანონებში, ხალხთა დიდმა გადასახლებამ აიძულა ისინი ისე ახლო ურთიერთობა ჰქონოდათ რომაულ გარყვნილებასთან, რომ ისინი უნებლიეთ მისი მძლავრი ზეგავლენის ქვეშ ექცეოდნენ, რომელიც იმდენად დიდი იყო, რომ მათ ბორდელების მოწყობის ანტიკური ორგანიზაციაც კი გადაიღეს. ამის თვალნათელი მაგალითია ვანდალები, რომლებიც გარყვნილი კართაგენის დაპყრობის შემდეგ პროსტიიტუციის ძირფესვიანად ამოძირკვას აპირებდნენ. თუმცა, ამან მხოლოდ „წამიერი“ შედეგი გამოიღო და მოკლე ხანში ომებში გამობრძმედილი მრისხანე ვანდალებიც მეძავთა თავგადაკლული „თაყვანისმცემლები“ გახდნენ.

შუა საუკუნეებში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდ ნაწილზე, გადამწყვეტი ზეგავლენა, პირველ ყოვლისა, იქონია **ქრისტიანობამ.** მოგვიანებით კი, VII საუკუნეში, ცნობილი ეგრეთ წოდებული **ჰიჯრის** შემდეგ, როგორც 622 წლის 14 სექტემბერს მექიდან მედინაში წინასწარმეტყველ მაჰმადის გაქცევის დღეს უწოდებენ, ძველი კულტურული სამყაროს უზარმაზარ ტერიტორიებზე – ჩინეთისა და ინდოეთის საზღვრებიდან მოყოლებული ვიდრე ესპანეთისა და დასავლეთ, აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკის საზღვრებამდე, უდიდესი ზეგავლენა მოიპოვა მეორე მონოთეისტურმა რელიგიამ – **ისლამმა.**

ამდენად, **შუა საუკუნეების სქესობრივი ეთიკა, პროსტიტუციისადმი მიდგომა და მისი განვითარება, უმთავრესად ამ ორი უდიდესი კულტურული რელიგიის ზეგავლენის შედეგია,** რის არაერთი მოწმობა არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია, რომ ბერძნული მიმური წარმოდგენები – „მიმები“ – აღმოსავლეთის ელინურ ნაწილში მას შემდეგაც იმართებოდა, რაც ის არაბებმა დაიპყრეს. მეტიც: სიტყვა „მიმი“ არაბულ ენაში „მუმისად“ შევიდა და „მეძავს“ ნიშნავს.

* * *

თუკი მხედველობაში არ მივიღებთ იუდეველებში ბერძნული ფილოსოფიის ზეგავლენით წარმოშობილ ესეებისა და თერაპევტების პატარ-პატარა სექტებს, **ებრაული სქესობრივი ეთიკაც აუცილებლად განასახიერებს ანტიასკეტურ სულისკვეთებას.** ღვთიური მცნება – „იმრავლეთ“, ებრაელებში სქესობრივი ურთიერთობების მუდამ სრულიად ბუნებრივ, რელიგიის მიერ დალოცვილ ქმედებად აღქმას იწვევდა. თანაც მისთვის თავის არიდება უფლის თვალში მძიმე დანაშაული იქნებოდა. ამიტომაცაა, რომ **იუდეველობა უარჰყოფს ასკეტიზმს და ხოტბას ასხამს შეუღლებას, ცოლქმრულ ურთიერთობებსა და გამრავლებას.** ამის გათვალისწინებით კი, რომ ებრაელებში გაბატონებული იყო მკვეთრად გამოხატული პატრიარქატი, მამაკაცისა და ქალის უფლებრივი თანასწორობის საკითხი გაფიქრების საგანიც არ იყო. ამასთან, ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ **ებრაელებში ქალს არასდროს უცხოვრია საჰარამხანო ცხოვრებით, ისე, როგორც ეს თავდაპირველად ბერძნებში, მოგვიანებით კი მაჰმადიანებში იყო დაწესებული.** ასე იყო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, ხოლო იმის თაობაზე, რომ იუდაიზმი უარყოფითადაა განწყობილი პროსტიტუციისადმი, საუბარი წინა პუბლიკაციებში გვქონდა. ისიც უნდა ითქვას, რომ პროსტიტუციამ, მათ შორის ჰომოსექსუალურმა, ებრაელებში მაინც გარკვეულ დონეს მიაღწია, რაც ასევე ბერძნულ-რომაულ ზეგავლენას უნდა მივაწეროთ.

ზემოთ აღწერილი პირობებისა და ვითარების გათვალისწინებით უნდა ვიმსჯელოთ აგრეთვე სქესობრივი ცხოვრებისადმი **იესო ქრისტეს** დამოკიდებულებაზე. ეჭვი არ არის, რომ ის ებრაელთა საზოგადოებაში მიღებულ შეხედულებებს სრულად იზიარებდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, იესო უყოყმანოდ აღიარებდა სქესობრივ ცხოვრებას, რომლის თაობაზე ყოველგვარი ცრუმორიდების გარეშე მსჯელობდა. მის გამონათქვამებში არც ერთი არ არის ისეთი, რომლითაც იგი სქესობრივ ცხოვრებას გმობდეს როგორც ცოდვიანსა და უწმინდურს.

დაბოლოს, იესო ქრისტეს სქესობრივ ეთიკაზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა განვიხილოთ მისი დამოკიდებულება მეძავებისა და ქორწინებისგარე სქესობრივი ურთიერთობებისადმი, რომელიც ლუკას სახარების ერთ-ერთ უმშვენიერეს სცენაშია აღწერილი, როცა ფარისეველი სიმონის ოჯახში მეძავი მაცხოვარს ფეხს ჰბანს და საკუთარი თმით უშრობს. მასპინძელს კი ჰგონია, რომ მაცხოვარმა არ უწყის ამ ქალის ვინაობა, რაზეც იესო ეუბნება, რომ მევრი მიტევება იმას, ვის სიყვარულიც დიდია, ცოტა კი იმას, ვისი სიყვარულიც მწირია. მათეს სახარებაში კი პირდაპირაა მოყვანილი იესოს სიტყვები ფარისევლებისადმი: მებაჟენი და როსკიპნი თქვენს წინ შევლენ მამაზეციერის საუფლოშიო.

* * *

ისმება კითხვა: მიჰყვა თუ არა ქრისტიანობა, პროსტიტუციასთან ბრძოლაში, იესო ქრისტეს მიერ მითითებულ გზას? საკითხის მკვლევართა უმეტესობის აზრი ისაა, რომ საზოგადოების ნაწილი, მეძავობის მკაცრი დაგმობით, ფარისეველთა გზას მისდევს, მეორე ნაწილი კი, რომლიც უთანაგრძნობს მეძავებს, თავადაც დაკარგულია ცოდვილ უძლურებაში.

იესოს სიტყვებში კი განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს პროსტიტუციის ბიოლოგიური საფუძვლის, ანუ იმის გაგება, რომ **სქესობორივი თავშეუკავებლობა ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელი ინსტიქტური მისწრაფებაა.** ამ გარემოებაზე იგი ფარისევლებს მიუთითებს, რამეთუ უწყის, რომ თავად მეძავი მხოლოდ მსხვერპლია გარკვეულ გარემოებათა, რომ იგი იმ საზოგადოებაზე, რომლის გარეშე მისი არსებობა შეუძლებელია, უფრო მეტად დამნაშავე სულაც არ არის.

რაც შეეხება პროსტიტუციისა და ადრინდელი ქრისტიანობის ურთიერთობას, ქრისტეშობიდან პირველ საუკუნეებში ის ერთობ მრავალმხრივ ფორმებს იღებდა. ადრინდელ ქრისტიანობაში მეძავობა და მეძავები სამმაგ როლს ასრულებდნენ: **ერთი რომ ქრისტიანობის პირველ მიმდევარ ქალებში უმეტესობა მონანიე და მოქცეული მეძავი იყო; მეორე – მეძავობას სასჯელად აძალებდნენ წამებულ ქრისტიან ქალებს; დაბოლოს – მონაზვნებს ზოგჯერ მეძავობის მიმართ ერთობ თავისებური მიდგომა ჰქონდათ, რომლითაც ასკეტიზმი იყო შენიღბული.** სამივე შემთხვევაში შედეგი გასაოცარი იყო, ვინაიდან წარმოიშვებოდა სპეციფიკური ქრისტიანული მოვლენები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, ქრისტიანულ ლეგენდებსა და დრამებშია შემონახული. მაგალითისთვის საკმარისია მარიამ მაგდალინელის შესახებ ქრისტიანული ლეგენდის მოხმობა, რომელიც მის გარდა კიდევ მთელ რიგ მოქცეულ მეძავს ითვლის, რომელთა ნაწილი შემდგომ წმინდანად იქნა შერაცხული.

ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანთა დევნის ეპოქაში, ბორდელებში იძულებით მეძავობას არა მარტო ქალიშვილებს, არამედ ჭაბუკებსაც უსჯიდნენ.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში არსებული **სქესობრივი ეთიკის** ყველა თავისებურება შეკრებილი და დაწვრილებით აღწერილი აქვს წმ. ავგუსტინეს (354-430 წ.წ.). იგი **შუა საუკუნეებში გაბატონებული სქესობრივი ეთიკის (რომელიც დღემდეც მოქმედებს!) ჭეშმარიტ ფუძემდებლად უნდა ვაღიაროთ. მისი მოძღვრებით, გამრავლების ცოდვა, ანუ სქესობრივი ინსტინქტი, თითქმის მთლიანად ემთხვევა ცნებას პირველი ცოდვის შესახებ.** აქედან გამომდინარეობს ავგუსტინეს სქესობრივი ეთიკის მთავარი პუნქტები: **აბსოლუტური თავშეკავება, ანუ იდეალში აყვანილი უბიწობა, შვილების გაჩენა; ქორწინებაშიც კი თავის შეკავება სქესობრივი ურთიერთობებისგან, რომლებიც მიზნად არ ისახავს შვილის ყოლას; დაბოლოს უფლის მოწყალებისა და ცოდვის განსაკუთრებული შედარება, რომელიც ავგუსტინეს სწავლების სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს.** ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სქესობრივი ცხოვრება თავისი მრავალმხრივი გამოვლინებებით, შეიძლება მძიმე სულიერი განცდებისა და ფიზიკური ტანჯვის მიზეზი გახდეს გამოუცდელი ადამიანისთვის, რაც მისგან აღსარების გზით თავის დახსნის მოთხოვნილებას წარმოშობს. **ჩვენს დროში, ექიმი არის თეოლოგის ყველაზე მეტად მიღებული შემცვლელი, რომელიც სქესობრივი ცხოვრების ინდივიდუალური და სოციალური ჰიგიენის უზრუნველყოფაზე უნდა ზრუნავდეს.**

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანულმა შუა საუკუნეებმა, მასობრივი შთაგონების შედეგად, სახალხო მოძრაობის სახით წარმოშვეს ევროპული სადო-მაზოხისტური კულტურა თავისი ქალთმოძულე ალქაჯმანიით, სატანიზმით, რელიგიური ფლაგელანტიზმითა და ქალის ასკეტური კულტით, რითაც ერთი მხრივ პროსტიიტუციის მკვებავი ახალი წყაროები წარმოშვეს, მეორე მხრივ კი მას გამოყენების ახალი სფეროები შეუქმნეს. შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ყველა ეს დასახელებული სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენა შეიძლება ავსხნათ როგორც **უკიდურესობამდე მიყვანილი ქრისტიანული თვალსაზრისები და მათი შედეგები. საეკლესიო მოძღვრება ქალში უწმინდურ ელემენტსა და სქესობრივ ცდუნებას ხედავდა. საერთოდაც, სქესობრივ ცხოვრებაზე მცდარი წარმოდგენა ჰქონდა, ვინაიდან მას ცოდვისეულ საწყისად განიხილავდა, რომელიც პირველყოფილი ცოდვის მიზეზად მიიჩნეოდა, რომელსაც დღესდღეობითაც იზიარებენ პროტესტანტები.** ამის შედეგი და თვალნათელი მაგალითია ის, რომ მამათა ბევრ მონასტერში ქალთა შესვლა აკრძალულია, ათონის მონასტერში კი ბევრი, დღევანდლამდეც კი, სიცილის მომგვრელ შიშს გამოხატავს მათ მიმართ.

ქრისტიანული შუა საუკუნეების მეორე გასაოცარი მოვლენაა **ქალის კულტი**, რომელმაც უდავოდ დიდი როლი შეასრულა მაღალი საზოგადოების წრეების მამაკაცებში მაზოქიზმის განვითარებასა და გავრცელებას. ის არის ქალზე შუასაუკუნოვანი შეხედულებების შედეგი, რომელთა მიხედვით, **იგი ან პირველყოფილი ცოდვის, აღვირახსნილი სქესობრივი ლტოლვის განსახიერებად, ანდა ქრისტეს პატარძლის, შეურყეველი ქალწულის სახედ აღიქმებოდა.**

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ **ქრისტიანული სქესობრივი ეთიკის ზეგავლენამ, რომელსაც დღესდღეობითაც განიცდის როგორც ევროპული, ისე ანგლო-ამერიკული კულტურული სამყარო, ძველებურად შეინარჩუნა ორმაგი მორალის ანტიკური პრინციპი, თანაც ზოგიერთ პუნქტში გაამძაფრა ის. ამდენად, პროსტიტუცია კვლავაც დარჩა – და უნდა დარჩენილიყო კიდეაც! – მთელი ამ სისტემის მაინტრიგებელ ნაწილად. ის კვლავაც რჩება – საღი აზრის საპირისპიროდ! – მონათმფლობელურ სახელმწიფოთა თვალთმაქცური მორალის თვალსაზრისით „აუცილებლად საჭირო ბოროტებად“.**

* * *

ასეთია, თვალის ერთი გადავლებით, დოქტორ ივან ბლოხის „პროსტიტუციის ისტორიის“ პირველი ტომის შედარებით გამარტივებული შინაარსი, რომელშიც ნათლად ჩანს სქესობრივი ეთიკის ურთულეს საკითხებში გარკვევის სურვილი, რომელმაც სათანადო განვითარება მის შემდგომ ნაშრომებში ჰპოვა. მონოგრაფიის თანამედროვე მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ **პროსტიტუცია, ზოგადად სქესობრივი ეთიკა, რომელმაც ჩვენს დროში უაღრესად ჰიპერტორიფირებული, ჩვენი უძველესი ზნეობრივი პრინციპებისთვის სრულიად მიუღებელი ხასიათი მიიღო, ფესვებით არათუ ანტიკურ, სულაც ისტორიამდელ ხანაში დგას. ამდენად, თავისი ხელის ერთი დაკვრით მისი მოშორება, საზოგადოებრივი ცნობიერებიდან სრულად ამოშანთვა, უბრალოდ წარმოუდგენელია. შესაბამისად, იმ ჩვენი ისედაც მცირერიცხოვანი, თანაც მსოფლიოში უკვე დიდად მიმოფანტული და ქვეყნის შიგნითაც საკმაოზე გაცილებით მეტად გათითოკაცებული ხალხისთვის, ერისათვის ძალად თავს მოხვეული და ლამის იძულებით შემოტანილ „ახალ ზნეობრივ მიდგომებს“ სასტიკი ბრძოლა უნდა გავუმართოდ, რის გარეშე ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენა უბრალოდ წარმოუდგენელია.**

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ბერლინი ცნობილია თავისი სექს-კლუბებში ფიქსირებული ნიხრით და მეგა-ბორდელებით. ცენტრალური ქუჩის ორანიენბურგერშტრასეს გასწვრივ ათასობით მეძავია ჩამწკრივებული, რომლებიც ადგილობრივებსა და ჩასულ ტურისტებს სექს-მომსახურებას სთავაზობენ. ჰამბურგში არის ეგრეთ წოდებული „წითელი ფარნების“ კვარტალი რიპერბანის ქუჩაზე. ამ უბნის – სანკტ-პაულის – ყველაზე „ღირსშესანიშნავი“ ადგილია ჰერბერტშტრასე, რომელზეც გამოჩენას მანდილოსნებს, ცხადია, მეძავთა გარდა, „არ ურჩევენ“.

* * *

გერმანული კანონმდებლობით, მეძავები დაცულები არიან „ექსპლუატაციისა“ და ძალადობისგან, რაც ზოგიერთ კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებით რეგულირდება.

მეტიც: პროსტიტუციის ლეგალიზაცია ნიშნავს, რომ სექს-მუშაკებს ეკუთვნის ის შეღავათებიც, რომლებიც ეკუთვნის იმ მომუშავეებს. რომლებიც 40-საათიანი კვირის განმავლობაში არიან დასაქმებულნი. იმის გამო, რომ იქაური მეძავები გადასახადებსაც იხდიან, მათ სოციალური შემწეობებიც ეკუთვნით, მათ შორის, სამედიცინო დაზღვევა და პენსია.

* * *

მეძავთან დროის გატარების საფასური გერმანიაში, ადგილისა და დღე-ღამის დროს გათვალისწინებით, 50 ევროდან იწყება. მეძავს კი მუშტრები ბორდელებში, ქუჩებში ჩამწკრივებულ ჯიხურებში, ასევე პირდაპირ ქუჩებში ნახულობენ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პროსტიტუცია ამ ქვეყანაში უდავოდ ვითარდება, რაც კანონმდებლობის გამუდმებულ დახვეწაში გამოიხატება, რომლეიც როგორც მეძავების, ასევე კლიენტების ინტერესების გაუთავებელი დებატებისა და პროტესტების საგნად რჩება.


ვასილი ლომიძე

შოთა ლომიძის სახელობის ტრადიციული ტურნირი ხაშურში

არდავიწყება მოყვრისა!..

დამეთანხმებით, საქართველოში ყველა გვარშია სახელოვანი და მისაბაძი ადამიანი. ისინი სიამაყისა და პატივისცემის გრძნობას იწვევენ თითოეულ ჩვენთაგანში. ღირსეული მამულიშვილები ლომიძეების გვარშიც საკმაოდ არიან, რომელთა ნაფუძარზე იზრდებიან მათი შთამომავლები და ეს თვისება ნამდვილად მისაბაძი და დასაფასებელია.

სწორედ სახელოვანი მამულიშვილის, ბეჭდაუდებელი ფალავნის, მსოფლიოს ორგზის, XIX ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონის, ევროპის ორგზის, საბჭოთა კავშირის ხუთგზის, საქართველოს რვაგზის ჩემპიონის, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულის, ლომიძეების გვარის ღირსეული და საამაყო შვილის შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი მეოთხედ გაიმართა ხაშურის სპორტის სასახლეში. შეჯიბრებაში საქართველოს 20 მუნიციპალიტეტის 200 ახალგაზრდა, 15-16 წლის თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას. ტრადიციული ტურნირი ლომიძეების საგვარეულო დარბაზის გამგეობის ინიციატივით გაიმართა.

სამწუხაროდ, კოვიდინფექციის გამო, 2021-2022 წლებში ტურნირი არ გამართულა.

(მარცხნიდან მარჯვნივ) ვასილის შვილი- სერგო, შოთას შვილი –გიორგი, შოთა ლომიძის წონაში გამარჯვებულის გუჯას მამა – მალხაზ ლომიძეები

ნორჩ მოჭიდავეთა ტურნირი საერთაშორისო შეჯიბრების კრიტერიუმების სრული დაცვით ჩატარდა, რაშიც უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ, ხაშურის სპორტის სასახლის დირექციამ, ჭიდაობის ფედერაციიდან მოვლენილმა მსაჯებმა.

გულახდილად უნდა აღინიშნოს, საერთაშორისო დონის პირველი კატეგორიის მსაჯის, შეჯიბრების მთავარი **მსაჯის გელა გელაშვილის,** საერთაშორისო დონის მეორე კატეგორიის მსაჯის **ედნარი ლომინაძის**, საერთაშორისო დონის მესამე კატეგორიის მსაჯის **გია კოტიშაძის,** მსაჯების **მიძინა გოგბერაშვილის, ვახტანგ ნარიაშვილის, თაკო სამხარაძის, კახა გოგოლიშვილის** მეტად ობიექტური და მიუკერძოებელი მსაჯობა.

ტურნირი 13 წონით კატეგორიაში გაიმართა. უშეღავათო ბრძოლაში ჩემპიონები გახდნენ გორელი **ლუკა დოთიაშვილი,** ხაშურელი **ლევან ნოზაძე,** გორელი **თორნიკე ბერძენიშვილი,** დმანისელი **მუსტაფა ადიგაზალოვი,** თბილისელი **გაბრიელ გამარნიკი,** გორელები **აკაკი მაზმიშვილი, გიგა ოთინაშვილი და დემეტრე ბოლოთაშვილი,** რუსთაველი **ჯონი შაორშაძე,** ხაშურის საჭიდაო სკოლის აღზრდილი, ახალდაბელი **გუჯა ლომიძე.** მძიმე წონაში გაიმარჯვა რუსთაველმა **გიგა ლუქუნიძემ.**

აღსანიშნავია **გუჯა ლომიძის** ბრწყინვალე გამარჯვება, რომელმაც ქვემძიმე წონით (92 კილოგრამი) კატეგორიაში იასპარეზა. მაყურებლით გადაჭედილი საჭიდაო დარბაზი გუჯა ლომიძეს გულშემატკივრობდა. ეს ფაქტი გასაგებია. ამ წონაში ჭიდაობდა სახელოვანი შოთა ლომიძე, და აი, 50 წლის შემდეგ ბეჭდაუდებელი შოთას წონაში კვლავ ლომიძეების გვარის, 15 წლის ვაჟკაცი გუჯა ლომიძე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და ლომიძეების საგვარეულო დარბაზის მიერ დაწესებული თასიც მას გადაეცა.

ახალგაზრდა მოჭიდავეებს მიესალმნენ ლომიძეთა საგვარეულო დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე **ვალერიან ლომიძე,** ვეტერანი მოჭიდავე **ოლეგ ლომიძე.** ტურნირს ესწრებოდა შოთა ლომიძის შვილი - **გიორგი ლომიძე,** რომელმაც გამარჯვებულთა დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა. კოდორის ხეობის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ბერმა **იერემიამ (ლომიძე)** ტურნირში გამარჯვებულებს სასულიერო ლიტერატურა დაურიგა. საგვარეულო დარბაზის გამგეობის სახელით გამარჯვებულებს დიპლომები გადაეცათ, ხოლო ტურნირის სანიმუშოდ ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის **მსაჯები და მწვრთნელები გელა გელაშვილი, ლევან მდინარაძე, სერგო უნანიანი, თეიმურაზ ჯაფარიძე, მიძინა გოგბერიშვილი და გია კოტიშაძე ლომიძეების საგვარეულო დარბაზის საპატიო წევრებად აირჩიეს.**

დიდი სურვილი გვაქვს მომავალი ტურნირი ისევ ხაშურში გაიმართოს. ქალაქში, სადაც შესანიშნავი საჭიდაო სკოლა არსებობს და ჰყავთ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები მამა-შვილის ვახტანგ და გიორგი კვინიკაძეების სახით, რომლებსაც არაერთი მაღალი დონის მოჭიდავე ჰყავთ აღზრდილი.

გამოითქვა ერთსულოვანი აზრი, რათა მომავალ წელს შოთა ლომიძის ტრადიციული ტურნირი კიდევ უფრო მასშტაბურად, საერთაშორისო დონეზე ჩატარდეს (ხაშური დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის აღიარებულია ცენტრალურ კვანძად, ის ორივე მხარის მუნიციპალიტეტების მოჭიდავეებისთვის ხელმისაწვდომია). დიდი სურვილი გვაქვს, შოთა ლომიძის ტრადიციული ტურნირის მონაწილე მოჭიდავეთა ასაკი 23 წლამდე გაიზარდოს.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა წარსულში ცნობილ მოჭიდავეთა სახელობითი ტურნირების მოწყობით. სწორედ ასეთ ტურნირებში იწრთობიან მომავალი მოჭიდავეები.

მინდოდა ეს წერილი ამ პათოსით დამემთავრებინა, მაგრამ უმადურობა იქნებოდა, ორიოდე სიტყვა არ მეთქვა ამ მეტად საინტერესო ტურნირის ჩატარების ყველაზე დასაფასებელი შემოქმედის შესახებ. საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. უმნიშვნელო ტურნირის ჩატარებასაც კი უამრავი პრობლემები ახლავს თან, დაწყებული მატერიალური მაზით, დამთავრებული ფინანსური პრობლემებით. ხაზგასმით ვიტყვი, რომ შოთა ლომიძის ტურნირი ვერ იხილავდა დღის სინათლეს, რომ არა ლომიძეების გვარის შესანიშნავი წარმომადგენლის, მინსკში მოღვაწე ბორჯომელი მიზნესმენის, ქველმოქმედის და მეცენატის ბატონ **ვასილ ლომიძის** წვლილი, რომელმაც 100 პროცენტით დაფინანსა ეს შესანიშნავი ტურნირი (საპრიზო თასები, დიპლომები, მსაჯთა და კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება, კვება, ღამისთევა და სხვა წვრილმან-მსხვილმანი, სწორედაც რომ მატონმა ვასილმა დააფინანსა).

ბატონი ვასილ ლომიძე ათეული წლებია მინსკში მოღვაწეობს და ბელარუსის დედაქალაქში წარმატებულ მშენებელ-რესტავრატორად ითვლება. ბორჯომს ხშირად სტუმრობს. ამ ქალაქში ცხოვრობს 100 წელს მიტანებული მისი დედა – ქალბატონი მაყვალა, რომელსაც მზრუნველობას და პატივისცემას არ აკლებს.

სკოლაში სწავლის წლებში ჭიდაობით იყო გატაცებული და წარმატებულ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო, აქტიურ სპორტს თავი დაანება, მაგრამ ქართული სპორტის დიდ გულშემატკივრად დარჩა და საქართველოს ცნობილი სპორტსმენებისთვის არაერთხელ აღმოუჩენია სათანადო დახმარება. ბუნებით კეთილ და სამშობლოს მოსიყვარულეს ხშირად გაუწევია მინსკში მცხოვრები ქართველებისთვის მატერიალური და ფინანსური დახმარება და თანადგომა.

ხაშურის ტურნირისათვის თანხაც გამოგვიგზავნა და მამის მოსახელე შვილიც – **სერგო ლომიძე,** რომელიც დღეს ბათუმში მოღვაწეობს. იგი ტურნირის დღეებში ჩვენს გვერდით იდგა და აქტიურად გვეხმარებოდა პრობლემათა გადაწყვეტაში.

შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი სპეციალურად გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს დავამთხვიეთ.

ლომიძეების საგვარეულო დარბაზის გამგეობის სახელით, მადლობას მოვახსენებ ბატონ ვასილ ლომიძეს და მასთან ერთად ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ საინტერესო ტურნირის უნაკლოდ ჩატარებაში.

სახელოვანი შოთა ლომიძის ტურნირი დამთავრდა, მომავალი წლისათვის სამზადისი კი უკვე დავიწყეთ. იმედია, ქვეყნისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ 13500 ლომიძეს არ გაუჭირდება სახელოვან გვარიშვილთა ღირსეული დაფასება და მასშტაბური ღონისძიებების ჩატარება.

ვალერიან ლომიძე,
სრულიად საქართველოს ლომიძეების საგვარეულო დარბაზის წინამძღოლი.

პრიზები გამარჯვებულთათვის

ვახტანგ კვინიკაძე და ბერი იერემია გამარჯვებას ულოცავენ გუჯა ლომიძეს

◎ უკვე ევროპული

სტატუს – მონაგარი

გულშემატკივარს მწარედ ემახსოვრება, რამდენი ქართველი პოტენციური ლეგიონერის ტრანსფერი ჩაშალა ან შეაფერხა იმ პოლიტიკურმა ლაფსუსმა, ევროკავშირის წევრ ქვეყანას რომ არ წარმოადგენდა. 14 დეკემბერს კანდიდატის სტატუსის მონიჭების ისტორიული ფაქტით აღნიშნულ უსამართლობას წერტილი დაესვა და ამაღლებულმა განწყობამ პირველი დადებითი შედეგებიც მოიტანა.

რაგბი. ჩელენჯ თასი. ბორჯღალოსანთა საგაზო კლუბის – შავი ლომის მიერ უელსში სკარლეტთან მოპოვებული პირველი გამარჯვება – 23:7 – თამამად შეგვიძლია შთამბეჭდავი სეზონის ღირსეულად დამაგვირგვინებელ მოვლენად მივიჩნიოთ. **ლევან მაისაშვილის** გაწვრთნილი ქართული ფრენჩაიზი პრესტიჟული ტურნირის სასტარტო მატჩშიც ახლოს იყო მრისხანე გლოსტერის დაჩოქებასთან, მიზანს კი ამჯერად უიღბლო დასაწყისის შემდეგ მიაღწია, როცა მასპინძლები ლელოთი და ზუსტი გარდასახვით 7:0 დაწინაურდნენ. საბედნიეროდ, ბიჭები მალევე მოეგნენ გონს და დარჩენილ სათამაშო დროში მხოლოდ თვითონ აგროვებდნენ ქულებს (მოდებაძე, მამრიკიშვილი, მატკავა).



გათამაშება უკვე გაისად იანვარში განახლდება საფრანგეთში ლიდერ კასტრთან და თბილისში კლერმონთან შეხვედრებით, მანამდე, 22 დეკემბერს კი შავი ლომი ავჭალაში რაგბი ევროპის მესამე ტურნირის ფინალში თელ ავივ-ჰითს უმასპინძლებს.

ფეხბურთი. სერია – ა. ზედიზედ 3 წაგების შემდეგ ნაპოლიმ, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და შინ მძიმე გამარჯვება მოიპოვა სარდინიულ კალიარისთან, რომელსაც სახელოვანი კლაუდიო რანიერი ავარჯიშებს – 2:1. პირველ საგოლე კომბინაციაში **კვარაცხელიამაც** შეიტანა წვლილი ბურთთან ფილიგრანული შეხებით, გადამწყვეტი ყუმბარისებური გასროლა კი **ხვიჩამ** ოსიმენის სოლოს შემდეგ შეასრულა. მის თამაშს სასიკეთოდ დაეტყო მწყობრში ტრავმამოშუშებული მარიო რუის დაბრუნება, რომლის ზუსტი ჩაწოდებითაც გაიხსნა ანგარიში. კვარას აპენინებზე სულ 49 მატჩში 17 გოლი და 13 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა.

წლევანდელ სეზონს იტალიის ჯერაც მოქმედი ჩემპიონი 23 დეკემბერს რომასთან პრინციპული გასვლითი ბრძოლით დახურავს.

ლა ლიგა. მრისხანე ბარსელონასთან შინ აღებულ ძვირფას ქულას – 1:1 ვალენსია მნიშვნელოვანწილად **გიორგი მამარდაშვილს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც, მწვრთნელ რუბენ ბარახას შეფასებით, ბრწყინვალედ ითამაშა. ეს ქართველი მეკარის მეხუთე მშრალი შეხვედრა იყო სეზონში. ღამურები 20 ქულით სატურნირო ცხრილში მე-10 პოზიციას იკავებენ და ხვალ რაიო ვალეკანოს ეწვევიან.

კალათბურთი. ნბა. ბოსტონი – ორლანდო 128:111. გოგა ბითაძე – სეზონში მე-3 ორმაგი დუბლი: 15 ქულა, 11 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა 26 წუთში.

ევროლიგა. ბასკონია – ვირტუსი 81:91. პარტნიორებს 27 ქულით უბერებელმა სნაიპერმა მარკო ბელინელიმ ულიდერა, სტაბილურობით გამორჩეულმა **თორნიკე შენგელიამ** კი ამჯერად თავის ყოფილ კლუბთან, რომელიც ესპანეთის ჩემიონი გახადა, 16 ქულა იკმარა.

სერია – ა. ვირტუსი – ვენეცია 84:85 (დამატებით დროში). ეს ბოლონიელთა ზედიზედ მეორე მარცხია შინაურ ფრონტზე. **შენგელია** – 13 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი 33 წუთში.

ლიგა ენდესა. მანრესა – ტენერიფე 73:76. **გიორგი შერმადინი** – 12 ქულა, 8 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა 26 წუთში.

სანთელი

კინოშედევრების შემქმნელი რეჟისორი გარდაიცვალა!

ოთარ იოსელიანი

89 წლისა აღესრულა...



89 წლის ასაკში ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ იოსელიანი გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას იოსელიანის ახლობლები ადასტურებენ.

ოთარ იოსელიანი 1956 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რეჟისორის ასისტენტად; 1956-1959წწ. მემონტაჟედ; 1959-1961წწ. დოკუმენტური ფილმების რეჟისორად; 1961 წლიდან იყო სტუდიის რეჟისორი და სცენარისტი; 1980 წლიდან მოღვაწეობდა საფრანგეთში; გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „აკვარელი“ (1958), „აპრილი“(1961); მხატვრული ფილმები: „გიორგობისთვე“ (1966) — ამ ფილმისთვის მან კანის კინოფესტივალის სპეციალური კინოპრესის ჯილდო და ჟორჟ სადულის პრიზი დაიმსახურა საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის. ასევე რეჟისორია ფილმების — „იყო შაშვი მგალობელი„ (1970), „პასტორალი“ (1976), „ბასკთა ქვეყანაში“ (1983), „მთვარის რჩეულნი“ (1984), „პეპლებზე ნადირობა“ (1999), „ყაჩაღები“(1996), „მშვიდობით, მწვანე მდელო“ (2000, საფრანგეთი); დოკუმენტური ფილმებისა: „ძველი ქართული სიმღერა“ (1969), „თუჯი“ (1964), „საპოვნელა“ (1959).

1980-იანი წლების დასაწყისიდან ოთარ იოსელიანი საფრანგეთში მუშაობდა, სადაც რამდენიმე დოკუმენტური და მცირემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო — 1984 წელს „მთვარის ფავორიტებმა“ ვენეციის კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. იგივე პრემია მიენიჭა იოსელიანის ორ სხვა ფილმსაც — „და იყო სინათლე“ (1989) და „ყაჩაღები. თავი VII“ (1996). 1999 წელს ეკრანებზე გამოვიდა ოთარ იოსელიანის ახალი ფილმი In vino veritas!, რომელშიც ის თავად ასრულებს ერთ-ერთ მთავარ როლს. 2010 წლის კანის კინოფესტივალზე არასაკონკურსო ჩვენებაში წარმოდგენილი იქნა რეჟისორის ახალი ფილმი „შანტრაპა“.

უფრთხილდით პიტბულს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში ძაღლმა ორი მცირეწლოვანი დაკბინა.

ადგილობრივი ტელეკომპანიის ცნობით, დაკბენილები არიან 5 წლის და 2,7 წლის ძმები.

პატარა ძმა, მძიმე ტრავმების გამო ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ თბილისის კლინიკაში გადმოიყვანეს საოპერაციოდ. ბავშვს დაზიანებები თავის არეში ჰქონდა მიყენებული, საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ქართველმა კრიმინალებმა ევროპაში „გვასახელეს“

სალონიკში 5 პირისგან შემდგარი დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრები დააკავეს. მათ შორის არიან საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეები.

როგორც ბერძნული მედია წერს, საქმის მასალების მიხედვით, ჯგუფის წევრები ბინის მეპატრონეებს უთვალთვალებდნენ და როცა ისინი სახლებს ტოვებდნენ, მათ ბინაში იჭრებოდნენ და ძარცვავდნენ. მედიის ცნობითვე, ისინი სპეციალურად ნაქირავებ ბინაში ქმნიდნენ გასაღების ასლებს სხვადასხვა საკეტებისთვის, მუდმივად იცვლიდნენ მანქანებს და დანაშაულს სხვადასხვა ადგილას ჩადიოდნენ.

მედიაში ვრცელდება ცნობები, რომ პოლიციის ფაილების მიხედვით, 2 წლის განმავლობაში დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ჯამში 170 000 ევრო მოიპარეს.

ადგილობრივი გამოცემების მიხედვით, დაკავებულებს ბრალი რამდენიმე მუხლით აქვთ წარდგენილი, მათ შორის დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნის, ძარცვის, ფულის გათეთრებისა და იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით.

ერთ-ერთ დაკავებულს, 45 წლის კაცს, 6 წლის გოგოს გატაცებაშიც ედება ბრალი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

შპს „ელვა ჯი“
595 382 626; 2 38 26 73; 2 38 26 74
577 308 847

შპს „პლანეტა ფორტე“
579 79 99 08; 599 94 73 11

წერილები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
SAKRESP@TOP.GE SAKRESP@MAIL.RU

დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:

თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი №116, „დიდუბე პლაზა“ – საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.

ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის (დახმარების) თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე GEO90BG0000000538329790

შპს „100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა“,
გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი. ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17;

„სუხიშვილების“ მოგზაურობა ბრიუსელში

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, საერთაშორისო ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“, ბრიუსელის ნაციონალურ თეატრში (THEATRE NATIONAL WALLONIE), ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის კონცერტი გაიმართა.

კულტურის სამინისტროს განცხადებით, ღონისძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დაემთხვა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. საღამომ ანშლაგით ჩაიარა და დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება დაიმსახურა. კონცერტს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი არჩილ ჭოტაშვილი, ბელგიის სამეფოში საქართველოს ელჩი ვახტანგ მახარობლიშვილი, „ევროპალიის“ წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ევროპელმა მაყურებელმა იხილა 75-წლიანი ისტორიის მქონე ანსამბლის შემოქმედება, რომელიც მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მაყურებელს ხიბლავს. მათ თვალწინ იშლება ქვეყნის ისტორია, ბრძოლის, გმირობისა და იმედის ამბავი.

ფესტივალის ფარგლებში, „სუხიშვილების“ კონცერტი მანამდე, 13 დეკემბერს საფრანგეთში გაიმართა.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, „ევროპალია-საქართველოს“ ფარგლებში, მიმდინარე წლის 4 ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით, ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში 60-ამდე მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიება იმართება. ევროპის საზოგადოებას ოთხი თვის განმავლობაში შეუძლია ნახოს ეროვნული საგანძურის ორი მასშტაბური და ისტორიული მნიშვნელობის გამოფენა – „ავანგარდი საქართველოში – 1900-1936“ (ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების ცენტრ „ბოზარში“) და „საქართველო – შეხვედრების ადგილი“ (ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების სამეფო მუზეუმში).

სადღესასწაულო განწყობა ევროპაში

საშობაო ბაზრობის სამშობლოდ გერმანულენოვანი ევროპა – ავსტრია, შვეიცარია, ელზასი და რა თქმა უნდა, გერმანია ითვლება, სადაც ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში ეწყობოდა „ზამთრის ბაზარი“. მართალია, მსხვილ ქალაქებში ცივი სეზონის დადგომისთანავე იგებოდა ე.წ. სავაჭრო კარვები, რათა მოსახლეობას წინასწარ დაეჭირა თადარიგი და დროულად შეევსო ზამთრის მარაგი, მაგრამ ათწლეულების შემდეგ ზამთრის ბაზარი შობის დღესასწაულის აუცილებელ ატრიბუტად იქცა და მთელ ევროპაში გავრცელდა.

საშობაო ბაზრობის პოპულარიზაციას მეტწილად გერმანელმა ღვთისმსახურმა, ეკლესიის რეფორმატორმა მარტინ ლუთერმა შეუწყო ხელი, რადგან სწორედ მან შემოიღო შობის დღესასწაულზე საჩუქრების გაცვლის ტრადიცია, რომელთა შეძენა სწორედ ბაზრობაზე შეიძლებოდა. შუა საუკუნეების გერმანიაში ბაზრობა ქალაქის ცენტრში, საკათედრო ტაძართან ახლოს ეწყობოდა, რათა მრევლს წირვის შემდეგ სადღესასწაულო „შოპინგის“ მოწყობაც შესძლებოდა, თუმცა, ზოგჯერ, ვაჭრობით გატაცებულებს საერთოდ ავიწყდებოდათ წირვაზე დასწრება, რის გამოც 1616 წელს ნიურნბერგელმა პასტორმა ქალაქის საბჭოს მიმართა და ბაზრობის ტაძრის ტერიტორიიდან გადატანა მოსთხოვა.

თანამედროვე საშობაო ბაზრობა, რომელიც ზამთრის ევროპის აუცილებელი ატრიბუტია, მეტწილად ქალაქის ცენტრში იმართება და პირველ რიგში, ადგილობრივი ოსტატების ხელნაკეთი სუვენირებით და საჩუქრებით, რეგიონისთვის დამახასიათებელი ნუგბარითა და დელიკატესებით ცდილობს ინდივიდუალურობის შენარჩუნებას.

ნიურნბერგი, ბრიუსელი

მართალია ნიურნბერგი, სადაც მხოლოდ 1610 წელს მოეწყო ბაზრობა, ვერასდროს დაიკვეხნის პირველობით, მაგრამ დიდი ხანია მსოფლიოს საუკეთესო საშობაო ბაზრობის ტიტულს ფლობს და ნამდვილად არ აპირებს სხვისთვის დათმობას, ისე, როგორც ბრიუსელი, რომელიც მხოლოდ 2002 წელს ჩაება სადღესასწაულო მარათონში, თუმცა, საინტერესო ატრაქციონების და ნაციონალურ სიამაყედ ქცეული ჰაეროვანი „ვაფლის“ წყალობით, ერთ წელიწადში დაიმკვიდრა ადგილი საუკეთესოთა შორის.

უკრაინელებმა რუსეთის პატრიარქზე ძებნა გამოაცხადეს

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსეთის პატრიარქ კირილზე ძებნა გამოაცხადა.

როგორც შსს-ს ვებგვერდზეა მითითებული, რუსეთის პატრიარქის მიმართ გამოძიებას უკრაინის უსაფრთხოების სამსახური აწარმოებს და რომ სასულიერო პირი „გამოძიებას ემალება“. რუსეთის პატრიარქზე ძებნა 11 ნოემბრიდან არის გამოცხადებული.

ტრამპის ადვოკატს მილიონობით დოლარი გადაახდევინეს



აშშ-ის ექსპრეზიდენტის დონალდ ტრამპის ყოფილ ადვოკატს რუდი ჯულიანის სასამართლომ არჩევნების გაყალბების შესახებ ტყუილის გავრცელების გამო 148 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

რუდი ჯულიანიმ აღნიშნული თანხა უნდა გადაუხადოს ორ ქალს – ჯორჯიის შტატში მცხოვრებ რუბი ფრიმანს და მის შვილს, ვანდრეა მოსს, რომლებსაც ჯულიანი 2020 წლის არჩევნებზე ხმების გაყალბებაში ადანაშაულებდა. როგორც სასამართლოს შემდეგ რუდი ჯულიანიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ის არაფერს ნანობს და განაჩენის გასაჩივრებას გეგმავს. ფრიმანისა და მოსის ადვოკატი მაიკლ გოტლიბი აცხადებს, რომ დეზინფორმაციის გავრცელების საკითხში რუდი ჯულიანი „ნულოვანი პაციენტი“ იყო.

შვილის ნაცვლად დედა დააპატიმრეს

ვირჯინიაში ქალს, რომლის 6 წლის შვილმაც მასწავლებელს ესროლა, ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 26 წლის დეხა ტეილორმა საპროცესო შეთანხმება გააფორმა, რათა შეემცირებინა სასჯელის ვადა, რომელიც შესაძლოა 5 წელზე მეტი ყოფილიყო. სასამართლომ ის ბავშვის უყურადღებოდ დატოვებაში დამნაშავედ ცნო.

მიმდინარე წლის იანვარში ტეილორის 6 წლის შვილმა მისი ჩანთიდან იარაღი აიღო და თავის მასწავლებელს, ები ზვერნერს ესროლა. მასწავლებელმა სერიოზული დაზიანებები მიიღო, გადაიტანა 5 ოპერაცია და დღემდე რეაბილიტაციის პროცესს გადის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 20 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6695; ევრო - 2.8793;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3590;
100 რუბლი - 2.9157; თურქული ლირა - 0.0935;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5689;
1000 სომხური დრამი - 6.6305

ამინდი 18 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -2, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -6, დღე +12
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +17
თბილისი: ღამე +3, დღე +12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: wwwsakresp.ge